საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 43 (1059) | ხუთშაბათი, 20 აპრილი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მაჰმუდ ვაეზი

19 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, მისი აღმატებულება ვაეზი. ბატონმა ვაეზმა მადლობა გადაუხადა სახელმწიფოს მეთაურს მიღებისათვის.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი აღმატებულების ბატონ აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანის ვიზიტს საქართველოს რესპუბლიკაში და ამ ვიზიტთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებზეც მუშაობდნენ სპეციალური კომისიები.

აღინიშნა, რომ საქართველოში არის მაღალი კვალიფიკაციის საწარმოები, რომლებიც ამჟამად გარკვეული მიზეზების გამო არ მუშაობენ. შესაძლებელია ამ ასპექტით ვრცელი ურთიერთთანამშრომლობა. ერთ-ერთი ძირეული საკითხი, რომელიც ხელსაყრელია ორივე ქვეყნისათვის, ეს არის სატრანსპორტო და სარკინიგზო თანამშრომლობა, რომელსაც, ალბათ, უახლოეს ხანში ჩაეყრება საფუძველი. სტუმარმა შენიშნა, რომ ორი წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით, როცა იგი საქართველოში იყო, საგრძნობლად გაუმჯობესდა ქვეყანაში სტაბილურობა და უსაფრთხოება. დღევანდელი შეხვედრა, განაცხადა ბატონმა ვაეზმა, არის ორ ქვეყანას შორის პრაქტიკული თანამშრომლობის დასაწყისი.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს იმ დაინტერესებისათვის, რომელსაც ირანის ისლამური რესპუბლიკა იჩენს საქართველოს მიმართ. საჭიროა ხელშეწყობა ერთობლივი საწარმოების ასამუშავებლად. არსებობს უდიდესი სამრეწველო პოტენციალი; სატრანსპორტო ურთიერთობას ორ ქვეყანას შორის დიდი პერსპექტივა აქვს. სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ირანის პრეზიდენტის ბატონ რაფსანჯანის ვიზიტი საქართველოში განსაკუთრებული მოვლენაა.

შეხვედრას ესწრებოდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფერეიდუნ ჰაყბინი.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური

მაჰმუდ ვაეზი: ჭეშმარიტად დიდი პერსპექტივა აქვს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიაში — 19 აპრილს ჩვენს ქვეყანას ეწვია ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი, მისი აღმატებულება აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი. ორი ქვეყნის მეთაურები, დელეგაციის წევრები ქართველ კოლეგებთან ერთად განიხილავენ საქართველო-ირანის თანამშრომლობის ფართო სპექტრს.

ამ დიდი მოვლენის წინ ვიზიტის მოსამზადებელი ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს **მაჰმუდ ვაეზს.**

— ორ ქვეყანას შორის კონტაქტებს ჭეშმარიტად დიდი პერსპექტივა აქვს, — განაცხადა ბატონმა **ვაეზმა** — ირანის პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრების საფუძველზე ჩვენი სახელმწიფოების მთავრობებისა და ხალხებს შორის თანამშრომლობა ნებისმიერ სფეროში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე წარიმართება. ირანის დელეგაციამ თბილისში ქართველ კოლეგებთან ერთად უკვე შეასრულა ვიზიტის მოსამზადებელი სამუშაოები: შეიქმნა საბაჟო და ფინანსური; მრეწველობისა და ენერგეტიკის; სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სპორტისა და კულტურის; ტრანსპორტის პოლიტიკური კომიტეტები. ორი თვის შემდეგ თქვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ეკონომიკის საკითხებზე მუშაობას განაახლებს ირან-საქართველოს ერთობლივი კომისია, მიღწეულია შეთანხმება ტრანსპორტის საკითხებში, კერძოდ, საქართველო-ირანის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების გაყვანის შესახებ. ასევე განსაზღვრულია ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების დეტალურად შესწავლა, რის შედეგადაც შეირჩევა ორივე მხარისათვის მისაღები ვარიანტი. ნავარაუდევია კავშირები მრეწველობაში, ეს კი იმ ქარხნების ამოქმედებას ითვალისწინებს, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო ნაწილობრივ, ან სრულიად არ ფუნქციონირებენ, რაც შეეხება საბაჟო კომიტეტს, იგი მიზნად ისახავს ორივე ქვეყნისათვის საჭირო საქონლის გაცვლას. ასევე მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება სოფლის მეურნეობაში, თანამშრომლობას ამ სფეროში მართლაც კარგი მომავალი აქვს. დარწმუნებული ვართ, რომ ნაყოფიერი იქნება ბატონ პრეზიდენტის ვიზიტი საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით, რადგან შეხვედრებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კავკასიის რეგიონისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ურთიერთობისა და სხვა გლობალური საკითხების განხილვას.

დასასრულ, ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაჰმუდ ვაეზმა გამოთქვა რწმენა, რომ ირანის პრეზიდენტის რაფსანჯანის ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს ირან-საქართველოს ახალ საქმიან და კეთილმეზობლურ კონტაქტებს, რომელსაც 1993 წელს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ირანში ვიზიტის დროს ჩაეყარა საფუძველი.

უილიამ უაიტი თბილისში

შინ თბილისში, სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკოსთა დელეგაცია ენერგეტიკის მინისტრის დგილის ბატონ უილიამ უაიტის ხელმძღვანელობით, სტუმრებს ლისის აეროპორტში დახვდა საქართველოს სამთავრობო დელეგა პრემიერ-მინისტრ ბატონ ოთარ ფაცაციას ხელმძღვანელობით. ღეს, 20 აპრილს, ამერიკელ ენერგეტიკოსთა ჯგუფი შეხვდება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. მინისტრთა კაბინეტში შედგება შეხვედრა საქართველოს პრემიერ-ნისტრთან ბატონ ოთარ ფაცაციასთან. დღესვე მინისტრთა კაბიის შენობაში გაიმართება პრესკონფერენცია, დაინტერესებულ ნალისტებს გთხოვთ, მოგვმართოთ მინისტრთა კაბინეტის პრესსახურში.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

ქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ჯ. ჩარკვიანის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებწვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, ჯონსულ ჩარკვიანი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 18 აპრილი.

ქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

დ. აბაშიძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

რთული კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი დევი აბაშიძე დაჯდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

995 წლის 18 აპრილი.

კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, ბატონო პრეზიდენტო!

გუშინ, 19 აპრილს, თბილისში ჩამობრძანდა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი

საქართველოსა და ირანის ურთიერთობის მატიანეში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა ჩვენს ქვეყანაში ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანის ოფიციალური ვიზიტი. ამ ისტორიულ მოვლენასთან უთუოდ არის დაკავშირებული ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის, საქმიანი და კულტურული თანამშრომლობის ურთიერთგაგების შემდგომი განმტკიცება, გაფართოება, რაც განსაკუთრებით წარმატებით ხორციელდება უკანასკნელ ხანს მას შემდეგ, რაც გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი ირანში.

19 აპრილს, დღის მეორე ნახევარში, მისი აღმატებულების ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანის თვითმფრინავი დაეშვა საზეიმოდ მორთულ თბილისის აეროპორტში. ფლაგშტოკებზე ფრიალებდა ირანის ისლამური რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები.

ირანის პრეზიდენტს ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანსა და მის მეუღლეს თვითმფრინავის კიბესთან გულთბილად შეხვდა საქართველოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე,**

ბავშვებმა სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი ჩააბარა ირანის პრეზიდენტს. ჟღერდა ირანის ისლამური რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნები. შემდეგ საპატიო სტუმარმა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. საზეიმო მარშით ჩაიარეს საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა გვარეობის ჯარების წარმომადგენლებმა.

ბატონი **ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი** მიესალმა პრემიერ-მინისტრს **ოთარ ფაცაციას,** პარლამენტის სპიკერს **ვახტანგ გოგუაძეს,** მის დამხვდურ რესპუბლიკის სხვა ოფიციალურ პირებს, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიათა ხელმძღვანელებს. საპატიო სტუმარს დახვდნენ აგრეთვე, ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ფერეიდუნ ჰაყბინი** და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში **ჯემშიდ გიუნაშვილი.**

საზეიმო შეხვედრის შემდეგ ბატონმა ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანიმ გააკეთა მოკლე განცხადება ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის:

— მოხარული ვარ, რომ ჩამოვედი თავისუფალ საქართველოში, სადაც მხურვალედ მეგებება თავისუფალი საქართველოს ხალხი. დიდი მადლობელი ვარ, ბატონი ედუარდ შევარდნაძის, რესპუბლიკის მთავრობისა, რომ მომიწვია საქართველოში — ესოდენ კარგ ქვეყანაში. მწამს, რომ ჩემი ვიზიტი ერთგვარად ხელს შეუწყობს ჩვენს შემდგომ ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

გაიმართა საქართველო-ირანის მოლაპარაკების პირველი რაუნდი

19 აპრილს, დღის მეორე ნახევარში საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი შეხვდა და პირისპირ ესაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

ამავე დროს გაიმართა ირანის დელეგაციის წევრთა — ამ ქვეყნის სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა და მათ ქართველ კოლეგათა მოლაპარაკების პირველი რაუნდი. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ერთობლივ სამუშაო ჯგუფებში, რომლებსაც ირანის მხრივ მეთაურობდნენ საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და ფინანსთა, გაზისა და ტრანსპორტის, ვაჭრობის მინისტრები, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საქართველოს მხრივ — პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები, საგარეო საქმეთა მინისტრი.

შეხვედრები გაიმართა აგრეთვე, ირანის მეჯლისისა და საქართველოს პარლამენტის, ორი ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების აპარატების ხელმძღვანელთა წარმომადგენლების დონეზე. მოეწყო დაინტერესებული, კონსტრუქციული სჯა-ბაასი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში საქართველო-ირანის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ.

საღამოს, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანის პატივსაცემად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ოფიციალური ვახშამი გამართა.

საქინფორმი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

მერვე სვეტი

შემუშავებულია დოკუმენტის პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ თემურ ბასილიამ მიიღო გაეროს წარმომადგენელი საქართველოში თეოდორ სტარჩევიჩი.

როგორც ბატონმა სტარჩევიჩმა განაცხადა, იგი დაინიშნა გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელად და პასუხისმგებელია ყველა პროექტზე, რომელიც ამ მიმართულებით შემუშავდება.

რაც შეეხება თვითონ პროექტებს, მათში უველაზე მნიშვნელოვანია საქართველოსათვის სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი, რომელიც ერთობლივად უნდა შემუშავდეს და რომლის რეალიზაციაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს რესურსების მობილიზაციას და მათი მოხმარების სწორ განსაზღვრას.

ითქვა, რომ შემუშავდება აგრეთვე, პროექტი ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარების შესახებ.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

გადავურჩინოთ ვაზი შთამომავლობას

ყვარელში შეიკრიბნენ კახეთის რეგიონის ის სპეციალისტები, და გულშემატკივარნი, მეცნიერები და პარლამენტარები, ვისაც ღრმად სწამს, რომ დღეს თუ არ ვიხსნით ვენახს, ვერ გადავარჩენთ ქართული ღვინის დიდებას.

მევენახეობისა და მეღვინეობის ძირითად საკითხებთან ერთად სხდომაზე განსაკუთრებულად აღინიშნა მეურნეობებისა და ღვინის ქარხნების შერთების აუცილებლობა, რომ სერიოზულ გადახედვას მოითხოვს საგადასახადო სისტემა, მელიორაციის საკითხები, რომ მევენახეობის პრიორიტეტული მდგომარეობა საეჭვო გახდა, რაც საფრთხეში აგდებს საქართველოს გადამრჩენელ ძალას — მევენახეობას, მეღვინეობას და სხვა.

გაიმართა კონფერენცია

გაიმართა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის მეხუთე კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები. კონფერენციამ აირჩია ახალი გამგეობა 7 კაცის შემადგენლობით, ასევე სარევიზიო კომისია. ასოციაციის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს გიორგი კერვალიშვილი. კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

ასოციაციის პრესსამსახური.

განიხილავენ საინჟინრო ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პრობლემებს

26 აპრილს თბილისში მუშაობას დაიწყებს საინჟინრო ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სემინარი, მას იუნესკოს ეგიდით მართავენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა კომისიასთან არსებული საინჟინრო ეკოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-მეთოდიკური სექცია, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ლანდშაფტი“, მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, ტექნიკური უნივერსიტეტის გარემოს დაცვის კათედრა. სემინარზე წარმოდგენილი იქნება მოხსენებანი ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა ეკოლოგიური უსაფრთხოების პროგნოზირება, ბუნება, გარემო და ადამიანი, ტოქსიკური ქიმიური შენაერთებით ჰიდრორესურსების გაჭუჭყიანება და მათი დაცვის ღონისძიებანი, საქართველოს ბუნებრივი წყლების ქიმიურ-ეკოლოგიური დახასიათება და სხვ.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

18 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ დანიშნული საქართველოს პარლამენტის სხდომა კვორუმის უკმარისობის გამო არ გაიმართა.

— ამ ფაქტის უერაგირებოდ დატოვება უკვე აღარ შეიძლება, — განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, — პარლამენტმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს გაცდენები და სხდომებზე ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები. ამ საკითხებთან დაკავშირებით ვიცე-სპიკერმა პარლამენტარებს შესთავაზა დადგენილებათა პროექტები, რომლებსაც 19 აპრილის პლენარულ სხდომაზე განიხილავენ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

„1996 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ 26-Ე ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (Ქ. ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ, ᲐᲨᲨ) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ".

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ 1996 წელს საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში პირველად იასპარეზებენ დამოუკიდებელ გუნდად ატლანტის (აშშ) ზაფხულის 26-ე ოლიმპიურ თამაშებზე.

უკანასკნელ ხანს, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი დადებითი ტენდენციების ფონზე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის სპორტული პოტენციალის ღირსეულად წარმოჩენას ამ უმაღლეს სპორტულ ფორუმზე.

ახლა, როდესაც ოლიმპიადისათვის მზადება, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, საჭიროა გადაუდებელ, კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება, საყოველთაო ძალისხმევა თამაშებში ღირსეული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებისა და მასში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სამთავრობო კომისია № 1 დანართის მიხედვით.

2. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს 1995 წლიდან 2 წლის ვადით გაათავისუფლოს საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი სახელმწიფო გადასახადებისაგან (დამატებითი ღირებულების, აქციზის, მოგების, ეკოლოგიისა და საბაჟო) არასახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც დააფინანსებენ ოლიმპიადისათვის მზადებას, მასში მონაწილეობასა და უზრუნველყოფენ საპრიზო ფონდის ფორმირებას, № 2 დანართის მიხედვით.

3. დაწესდეს, რომ გადასახადებისაგან განთავისუფლებული საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მობილიზებული სახსრები სრულად ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის სპეციალურ ანგარიშზე, პირობითი სახელწოდებით „ოლიმპიადა-96".

4. სამთავრობო კომისიამ ხელი შეუწყოს სპეციალურ ანგარიშზე თანხების სრულად და დროულად ჩარიცხვას, ამასთან, აკონტროლოს მისი მიზნობრივი ხარჯვა.

5. სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხული სახსრების გამოყენებისადმი კონტროლის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტმა ყოველკვარტალურად წარუდგინოს ანგარიში სამთავრობო კომისიას.

6. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, უზრუნველყოს საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

7. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს საერთაშორისო კავშირგაბმულობის კომუნიკაციებით საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის უსასყიდლოდ მომსახურება ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებისა და მისი მიმდინარეობის პერიოდში.

8. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხული თანხების შეუფერხებელი გაცემა და კონვერტაცია.

9. საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა ყოველმხრივ წაახალისოს რესპუბლიკაში მოქმედი ავიაკომპანიების ინიციატივა, საერთაშორისო შეჯიბრებებზე ოლიმპიელთა შეღავათიან ფასებში გამგზავრებასთან დაკავშირებით.

10. რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უმოკლეს ვადაში განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხი კომუნალური გადასახადებისაგან პირველ რიგში იმ სპორტული ბაზებისა და ნაგებობების განთავისუფლების შესახებ, რომლებზეც მომზადებას გადიან ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრები.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
Ო. ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ გადაადგილებულ პირთა მომსახურებასთან დაკავშირებული ღონისძიებების რეალიზაციისათვის სახელმწიფოს მიერ გაღებული ფულადი სახსრების უფრო ეფექტურად ხარჯვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა, ადგილობრივი მმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა ერთი თვის ვადაში დააზუსტონ ორგანიზებულად ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა სიები ჩასახლების ობიექტების (სასტუმრო, სანატორიუმი, პანსიონატი, საერთო საცხოვრებელი და ა. შ.) მიხედვით.

2. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების კომუნალური ხარჯების ჩარიცხვა ამ ობიექტებისათვის 1995 წლის პირველი აპრილიდან აწარმოოს პირდაპირი ანგარიშსწორებით, შუალედური რგოლის გარეშე.

3. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზებულად ჩასახლების დაწესებულებებში მომსახურე პერსონალისათვის 1995 წლის პირველი აპრილიდან გავრცელდეს საბიუჯეტო ორგანიზაციებზე მოქმედი წესები.

4. იმ ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, რომლებშიც განთავსებულია იძულებით გადაადგილებული ოჯახები, განახორციელონ აღნიშნულ პირთა სამოქალაქო მომსახურება (დაკრძალვა, გამგზავრება და ა. შ.) ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

5. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს, განიხილოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებულად ჩასახლების დაწესებულებების დამატებითი ღირებულების გადასახადიდან განთავისუფლების საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
Ო. ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ.

1995 წლის 12 აპრილი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲕᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 6 თებერვლის № 54 დადგენილებით დამტკიცებული დებულებების „საქართველოს რესპუბლიკაში საერთაშორისო ტურისტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" და „საერთაშორისო ტურისტული საქმიანობის ლიცენზირებაზე გამოსაღების გადახდის წესისა და მისი ოდენობის შესახებ" სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკაში საერთაშორისო ტურიზმის დარგში დასაქმებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და უწყებრივი კუთვნილებისა, ვალდებულია საერთაშორისო ტურისტულ საქმიანობაზე ლიცენზია მიიღოს საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტში 1995 წლის 15 ივნისამდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტმა და საბაჟო დეპარტამენტმა 1995 წლის 15 ივნისიდან არ დაუშვან ულიცენზიო საწარმოების საერთაშორისო ტურისტული საქმიანობა.

3. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
Ო. ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐ.

1995 წლის 11 აპრილი.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

1995 ᲬᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲢᲔᲮᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ დეფიციტმა, განსაკუთრებული სისასტიკით რომ იჩინა თავი პოსტკომუნისტურ პერიოდში და დღემდე კვლავაც ბობოქრობს ჩვენში, ნებისმიერ სფეროში — ეკონომიკის, კულტურისა და სოციალურ სფეროებში აქამდე შექმნილის ტოტალურ ნგრევასთან ერთად, მაინც გამოაცოცხლა ენერგია, რომელსაც მისი შეჩერება ძალუძს. სხვაგვარად, ვერც მოხდებოდა, რაკი ადამიანში თავიდან ჩადებული შემოქმედებითი საწყისი ითვალისწინებს აღმშენებლობას, და არა ნგრევის ბრმა სტიქიის თარეშს. თვითგადარჩენის ინსტინქტი სულ უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან კონკრეტულ მოქმედებას, და არა ისტორიული გზის იმ ბობოქარი მონაკვეთის გულგრილ მზერას, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ქვეყანა მეოცე საუკუნის დამლევისათვის. საზოგადოებრიობის წინაშე მდგომი უამრავი პრობლემის გადაწყვეტის სურვილი და, რა თქმა უნდა, შესაბამისი ენერგიის გამოვლინებაც აშკარად იგრძნობოდა 15 აპრილს თბილისში გამართული მართვის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირზე, სადაც განიხილეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შედეგები. ორატორთა განსჯაში არ იყო ზოგადი ფრაზები და ლოზუნგები, მხოლოდ ნეგატიური ფაქტების კონსტატაცია და საკუთარი უმწეობის დადასტურება.

თათბირის მუშაობაში, რომელსაც უძღვებოდა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციას მეთაურობით, მსხვილი საწარმოებისა და ბანკების ხელმძღვანელები, პარლამენტარები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ, რომელმაც იმთავითვე აღნიშნა, რომ საჭიროა გავაანალიზოთ გასული წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული გაბედული ეკონომიკური რეფორმის შედეგები. ამასთან ითქვა, რომ ამის გაკეთება კონკრეტულ მატერიალურ განზომილებათა საფუძველზე იქნება რთული. უნდა დავინახოთ და შევაფასოთ ამ პერიოდში წარმოდგენილი ტენდენციები, აღვნიშნოთ დაშვებული შეცდომები, ერთობლივად განვსაზღვროთ მათი გამოსწორების გზები.

რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმათა დაწყების წინ ჩვენს ქვეყანაში ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ შევძლებდით ეროვნული კუპონის გამყარებას. პირველი ღონისძიებანი დაიწყო კატასტროფული ინფლაციის პირობებში და, უნდა ვაღიაროთ, მრავალთა გასაოცრად, რამდენიმე თვეში მივაღწიეთ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში კუპონის კურსის სტაბილიზაციას, რამაც შექმნა კიდეც წანამძღვარი ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღებისათვის. რა თქმა უნდა, ამ პროცესსაც გარკვეულწილად ახლდა ადმინისტრირების ელემენტები, მაგრამ უმოქმედო წარმოების პირობებში სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, თათბირზე სავსებით ლოგიკურად დაისვა ასეთი საკითხი: რით ავხსნათ მოღონიერებული კუპონისა და აუმოქმედებელი, სახალხო მეურნეობის — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა დარგების თანაარსებობის ფაქტი? და აქვე მოიტანეს ასეთი დასკვნა: თუ ასე გაგრძელდება, ეკონომიკის კატასტროფა გარდუვალია!

შესაბამისად, როგორც მოხსენებაში, ისე გამოსვლებში, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია რაიმე რეფორმაზე, თუ იგი არ გამოაცოცხლებს საწარმოო სფეროს და საფუძვლად არ დაედება სოლიდური ეროვნული პროდუქტის შექმნას. ქვეყანა ამჟამად უმეტესწილად არსებობს უცხოური დახმარების ხარჯზე და ამას ბოლო უნდა მოვუღოთ. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი ამა თუ იმ დარგისათვის შეღავათიანი კრედიტების მიცემის შესახებ, თუმცა, იქვე ითქვა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა საჭიროა საგანგებო შემთხვევებში. მაგრამ, ალბათ, უარი არ უნდა ითქვას კრედიტის გამოყოფაზე, როცა საქმე ეხება თესლის შესყიდვას, რადგან მაშინ გამოუყენებელი რჩება ასეთი ფასდაუდებელი კაპიტალი, როგორიც არის მიწა.

დღეს საქართველო თავისი დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის განსაკუთრებულ ეტაპზე იმყოფება, განვლილია რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური წინააღმდეგობებით აღსავსე უძნელესი პერიოდი. ამჟამად მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს მინიჭებული აქვს დიდი უფლებები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, შესაბამისად, გაცილებით გაიზარდა მათი პასუხისმგებლობა მართვის დემოკრატიული სისტემის დამკვიდრების, წარმოების აღდგენის, ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, ეფექტიანი სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნის, კრიმინოგენური სიტუაციის განჯანსაღებისათვის. სწორედ ადგილებზე გადის ქვეყნის ხვალინდელი დღის შენებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური რეფორმის ცენტრალური რგოლია კერძო მეწარმეობის, კერძო სექტორის ფორმირება. სამთავრობო პროგრამით დღეისათვის რესპუბლიკაში პრივატიზებულია 2880 ობიექტი. უშუალოდ საწარმოთა შრომით კოლექტივებს მიეყიდათ 1300 ობიექტი, აქციონირებულია 750 საწარმო.

ციფრები, თითქოსდა, შთამბეჭდავია, მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, ყოველივე ამას არ მოაქვს დიდი სარგებელი, რადგან პრივატიზებულ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის ერთი მესამედი არ მუშაობს.

ეკონომიკის სირთულეები უშუალოდ აისახება ქვეყნის საბიუჯეტო-საფინანსო სისტემაში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავალმა შეადგინა 28,4 ტრილიონი კუპონი, რაც დაპროგნოზებული თანხის 78 პროცენტს შეადგენს. ჩამორჩენა, ძირითადად, განპირობებული იყო სააქციზო საქონლის — ღვინო-არყისა და ჩაის პროდუქციის რეალიზაციაში არსებული სერიოზული შეფერხებებით. ამის მიუხედავად, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეიმჩნევა ბიუჯეტის შემოსულობათა მოცულობის საკმაოდ სოლიდური ზრდა, მაგრამ ეს სულაც არ ხსნის დღის წესრიგიდან გადაუხდელობის პრობლემას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღინიშნა, რომ მმართველობის ადგილობრივი ორგანოები სათანადოდ ვერ ფლობენ სიტუაციას და ვერ ახერხებენ დაამყარონ ელემენტარული საგადამხდელო დისციპლინა თავიანთ რეგიონებში. ამით არის გამოწვეული „საქგაზის" დეპარტამენტისადმი უზარმაზარი დავალიანებები რუსთავში, ყაზბეგის, დუშეთის, მცხეთის, გარდაბნისა და სხვა რაიონებში. სულ კი რესპუბლიკაში ეს დავალიანება 27 ტრილიონ კუპონს შეადგენს.

თათბირზე განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური პირობების უზრუნველყოფის პრობლემებს. უკანასკნელი მონაცემებით, რესპუბლიკაში ამჟამად მილიონზე მეტი უმუშევარია, რაც ქვეყნის მთელი შრომითი რესურსების დაახლოებით მესამედს შეადგენს. დაუსაქმებლობა, ბუნებრივია, იწვევს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიგრაციას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბაკურ გულუას გამოსვლაში აღინიშნა, რომ მარტო აგროკომპლექსში შეიძლება შეიქმნას მილიონამდე სამუშაო ადგილი კარგი ანაზღაურებით. ამისათვის საჭიროა ავამოქმედოთ გადამამუშავებელი მრეწველობის, მინერალური წყლების ჩამომსხმელი საწარმოებისა და სხვათა სიმძლავრეები.

თავის მხრივ, უმოქმედო წარმოების პრობლემებს ელობება ენერგეტიკული კრიზისის არანაკლებ მწვავე პრობლემა. თათბირზე მოიყვანეს ასეთი ციფრები: რესპუბლიკის ენერგეტიკული სიმძლავრეები გამოიყენება მხოლოდ 14,7 პროცენტით, თბოელექტროსადგურებში კიდევ უფრო ნაკლებით — 8,8 პროცენტით. ამავე დროს, სათბობის უმწვავესი დეფიციტის პირობებში თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის ხარჯავს 770 გრამ პირობით სათბობს, ანუ ნორმაზე თითქმის ერთიორად მეტს. და მაინც, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაისახა მრეწველობის ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესება, რამაც, რა თქმა უნდა, გამოაცოცხლა დარგი — პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 26,2 პროცენტით.

შეაჯამა რა თათბირის შედეგები, პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, კერძოდ, თქვა, რომ ეკონომიკის გამოცოცხლებასა და ფინანსების გაჯანსაღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა, რომ არა უდიდესი ძალისხმევა უაღრესად რთული კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესების საქმეში. ახლა, როცა ამ მიმართულებით უკვე გვაქვს გარკვეული შედეგები, ვრწმუნდებით, რომ უდეფიციტო ბიუჯეტი სავსებით შესაძლებელია, თუმცა ზოგიერთებს ამის გაგონებაც კი არ სურდათ. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სტაბილურობის პირობებში შეიძლება დავძლიოთ ჰიპერინფლაცია, მივაღწიოთ გარკვეულ შედეგებს. ეს ნათლად ჩანს თბილისის, ქუთაისის, აჭარის მაგალითით. ჩვენ გვახარებს, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პირველ კვარტალში ბიუჯეტის შემოსავალი 80-ჯერ გაიზარდა. ეს უკვე იძლევა იმის სტიმულს, რომ მეორე კვარტალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ და მიმდინარე წელი გადავაქციოთ გარდატეხის წლად. ჩვენთან უკვე იქმნება ხაზინა, რაზეც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ერთი სიტყვით, ძვრები უკვე არის და ამას ტენდენციის ხასიათი ეძლევა. თუ ჩვენ ვიმუშავებთ სრული უკუგებით, მაშინ, მოკლე ვადაში შევძლებთ ქვეყნის გამოყვანას კრიზისიდან. ამისათვის, სხვა საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირებას, ყოველ შემთხვევაში, მესამე კვარტალში მისი კონტურები უკვე უნდა გამო იკვეთოს. საქმე ეხება არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ ადგილობრივ ბიუჯეტებსაც. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტი განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს. რადგან მის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ სათანადო შეიარაღებული ძალების მშენებლობას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფოს მეთაური შეჩერდა ცალკეულ რეგიონებში არსებული ვითარების ანალიზზე. აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გააქტიურდეს ძალისხმევა ადგილობრივი რესურსების ათვისებისათვის. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრინციპულად ახლებურ მიდგომას მოითხოვს პროდუქციის უშუალო მწარმოებლის როლი. მაგალითად, მეჩაიე, მევენახე დაინტერესებული უნდა იყოს საბოლოო სასაქონლო პროდუქციით და ეს მიღწეული იქნება, თუ ისინი გახდებიან გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა აქციონერები. მარტო უცხოელ ინვესტორთა იმედად არ უნდა ვიყოთ, საჭიროა თვითონ მოვკიდოთ ხელი საქმეს, ყოველმხრივი დახმარება გავუწიოთ კერძო მეწარმეებს. ამასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ, ალბათ, მოგვიწევს გადავსინჯოთ გადასახადების წინათ განსაზღვრული სკალა იმ მიზნით, რათა მივცეთ საშუალება მეწარმეებს რიგიანად გაშალონ თავიანთი საქმიანობა. ისინი ისედაც რეკეტიორთა ძალადობის რთულ პირობებში მუშაობენ, რომლებმაც იარაღის მეშვეობით შეაღწიეს ყველა სფეროში და ახლა აქარწყლებენ ათასობით ადამიანის ძალისხმევას. უშიშროების სამსახურის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკური დივერსიების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ქვეგანყოფილება. თუ რეკეტიორებს არ გამოვუცხადებთ შეურიგებელ ბრძოლას, ჩვენ დამარცხებას ვიგემებთ, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა.

თათბირი, რომელსაც საქმიანი და კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა, ორატორთა განსჯა და შეფასებები რაღაცით მოგვაგონებდა მინდვრად გასულ მხვნელს, რომელიც ხმამაღლა მსჯელობს მიწაზე მომავალი რთული შრომის შესახებ, მაგრამ ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ მინდორი არა მარტო უთუოდ მოხნული და დათესილი იქნება, არამედ მომავალი მოსავლის კარგ აღმონაცენსაც მოგვცემს.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲑᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქინფორმის კორ.

ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ მნიშვნელობის ყველა პრობლემამ საქართველოში უმწვავესად იჩინა თავი. ამის მიზეზი ისიც არის, რომ „გეოპოლიტიკურ ჯვარზე" ვართ გაკრული. საოცარია, რომ ისევ ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება მიაწოდოს მსოფლიოს პრობლემების გადაწყვეტის თავისებური, ახლებური მოდელი (თუნდაც სამაგალითო ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზის არჩევა).

ჩვენმა ხალხმა მოწამეობრივი სისხლიც ბევრი გაიღო, ეროვნულობის ფესვებს რომ სპირდებოდა საკვებად, დასანგრევიც დაანგრია (ზოგჯერ იმაზე მეტი, ვიდრე საჭირო იყო). ახლა შენებაზე ფიქრის დროც დადგა. შენება ევოლუციური გზით შეიძლება მხოლოდ და ეს ხანგრძლივი პროცესია. ცხოვრებასთან ყოველდღიურ ჭიდილში, როცა გშია, გცივა, გაზი, ელექტროდენი და წყალი არ გაქვს, ძნელია შეამჩნიო რაღაც ახალი და კარგი. იმ ავადსახსენებელმა სისტემამ ჩვენში „Homo sovieticus"-ის ფსიქიკა ჩამოაყალიბა, როცა ყველაფერი ჩვენი იყო, მაგრამ არაფერი გვქონდა კონკრეტულად, სხვა ფიქრობდა ჩვენს მაგივრად და ის სხვა იყო პასუხისმგებელი დაგეგმვაზეც და შედეგზეც. ჩვენ იქნებ დღესაც ამას ველით და მოვითხოვთ ერთმანეთისაგან, თუმცა, რაც დღეს ჩვენში ხდება, იმას შთამომავლობა ისტორიული გადასახედიდან უკეთესად შეაფასებს. მე მინდა ამ კანონზომიერი პროცესის მხოლოდ დადებითი მომენტები აღმოვაჩინო და თქვენც დაგანახოთ.

ორი წლის წინათ მეც მივაგენი ჭეშმარიტებას, რომ „ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს". დავტოვე ქალაქი, სოფლად წავედი საცხოვრებლად, ბევრი ოფლიც ვღვარეთ, მაგრამ გამოუცდელობამ, საქმის უცოდინარობამ, ზოგჯერ უინიციატივობამ, ერთმანეთთან შეუთანხმებლობამ დიდი ზარალიც მოგვიტანა. ისეთი, ლამის ანეგდოტივით რომ გავრცელდა ჩემს ახლობლებსა და ნათესავებში — ჰერბიციდით შევწამლეთ და „დავწვით" ორი ვენახი და ხუთი ტონა ყურძნის ნაცვლად მტევანი არ ამოგვიტანია სახლში. დაგვეღუპა ორი ხბო, „სერაპიონსავით მარჩენალი" ღორი თავისი თორმეტი გოჭით. ყოველივე ამის შემდეგ, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ჩვენ მაინც დავრჩით ცოცხლები!!!

მიუხედავად ყოველივე ამისა, სოფლად ჩემმა საქმიანობამ ბევრი რამ იმედისმომცემიც დამანახვა. ბუნებამ უხვად აუნაზღაურა ოფლისღვრის საფასური მათ, ვინც მუყაითად იშრომა, უკეთ დაგეგმა, უკეთ გამოიყენა ხელთ არსებული მიწა, პირუტყვი თუ ტექნიკა. გლეხკაცში გაჩნდა საკუთარი მიწა-წყლის მესაკუთრის შეგრძნება. დაიბადა საღი აზრი, რომ უნდა გადაიხადო, თუ გინდა გქონდეს დენი, წყალი, გაზი.

ᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲐᲜᲫᲠᲘᲝᲗ, ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲪ ᲒᲕᲘᲨᲕᲔᲚᲘᲡ

თვითონვე უნდა უპატრონო შენს გზას, ტყეს, მიწას, ტექნიკას, სოფლის თავკაციც ბ-ნი ა. არჩვაძე მხოლოდ სიმართლეს ეუბნება თავის ხალხს, რაც არ უნდა მწარე იყოს იგი და მათთან ერთად ცდილობს გამოსავლის მოძებნას. უდიდესია ამ ხალხში სიცოცხლის სიყვარული, უმძიმესი შრომით გასავათებულნი საღამოს მაინც პოულობენ ძალას ერთმანეთთან შეხმიანებისათვის, „ოჩხანის" მოწყობისთვის, მაინც გაისმის შეძახილი „გამოდი ვიცეკვოთო", მღერის გუნდი, ფიქრობენ მოქმედი ეკლესიის აღდგენაზე, შემდგომში საკვირაო სკოლის გახსნაზე.

იმაშიაც დავრწმუნდი, რომ შესაძლებელია განსხვავებულად მოაზროვნე ნებისმიერ ადამიანთან საერთო ენის გამონახვა, რასაც ფაქტობრივად ყოველდღე აკეთებს რაიონის გამგებელი ბ-ნი რ. დალაქიშვილი. მოქალაქეთა კავშირის, მაშველთა კორპუსისა და რაიონული ხელმძღვანელობის ურთიერთობის ჩვეულებრივი გამოცდილება ხომ ლამის სამაგალითოდ იქცა რეგიონული მასშტაბით. საინტერესო იდეები იბადება თეთრი წყაროს რაიონში. თუნდაც საზოგადოებრივი მეურნეობების განსახელმწიფოებრიობის საკუთარი პროექტი, როგორც ექსპერიმენტი, რომელიც ჯერ დამუშავების სტადიაშია და უდიდეს სტიმულად შეიძლება იქცეს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ამ ნაკლებნაყოფიერი მიწების მფლობელ რაიონში.

ალბათ, კიდევ ერთი სასიკეთო სიახლეა რეგიონული მმართველობის შექმნა, როგორც საქართველოს ფედერაციული მოწყობის პრინციპებზე გადასვლის პირველი მცდელობა. ქვემო ქართლის რეგიონში ეს საპასუხისმგებლო საქმე ახალგაზრდა კაცს ბ-ნ ლ. მამალაძეს მიანდეს. რეგიონში უკვე არსებობდა მართვის ძველი სტრუქტურები, მრავალსაცდელი კადრებით დაკომპლექტებული. მე მისაუბრია ბევრ ასეთ ადამიანთან და სასიხარულოდ აღმოვაჩინე მხარდაჭერის, თანადგომის გარკვეული სურვილი. გამიჩნდა იმედი, რომ ეს სურვილი თანდათან გაიზრდება და რეალურ საქმეს მისცემს დასაბამს.

სასიკეთო ძვრები მაშველთა კორპუსშიც ხდება. ბ-ნი გ. გელაშვილი: იმ დაღუპული ბიჭების წინაშე ვალდებულების შეგრძნება აიძულებს ცოცხლადდარჩენილთ იყვნენ ღირსეული მემკვიდრენი მათი სახელისა და საქმიანობისა, ერთგულად უპატრონონ დაობლებულ ოჯახებს. ყველანაირად ცდილობენ თვითონვე გაწმინდონ თავიანთი რიგები შემთხვევითი პირებისაგან, ძირითად პრინციპად გაიხადეს — „არცერთი ნარკომანი, ლოთი, ბოროტმოქმედი ჩვენს გვერდით", ცდილობენ საკუთარი მეურნეობების, წარმოებების მოწყობას, ამაში ეხმარებიან კიდევაც ერთმანეთს საერთო ფონდიდან. უკვე შემოსავლიანი ობიექტებიდან მიღებული თანხებით უნდათ საწვრთნელი ბაზების მოწყობა, სამაშველო სამუშაოების წარმოება, ჰუმანიტარული დახმარების გაწევა დაღუპულთა ოჯახებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

მონაწილე ვიყავი ქალთა სამშვიდობო აქციისა, ფრონტისკენ მატარებელს რომ გაჰყვნენ. აქ გავიცანი შემდგომ ჩამოყალიბებული მოძრაობა — „თეთრი მანდილის" საინიციატივო ჯგუფი და ქ-ნი ქ. დოლიძე. დღევანდელ მათ საქმიანობასაც კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ კიდევ მრავალი საინტერესო ინიციატივა აქვთ ხორცშესხმის ფაზაში. ასევე საინტერესოდ საქმიანობენ მოქალაქეთა კავშირში საზოგადოება „ერთობა-კეთილდღეობის" ბაზაზე შექმნილი „სოციალური და ჰუმანიტარული ინიციატივის წევრები. ქ-ნი მ. მირიანაშვილი: უანგარო შრომის შედეგია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისთვისა და სოციალურად დაუცველი ფენისათვის ჰუმანიტარული დახმარების მთელი პროგრამის შემუშავება.

ერთ ჭეშმარიტებას კიდევ მივაგენი, რომ ნებისმიერი მოღვაწის ძირითადი მამოძრავებელი, ზრუნვის საგანი საქართველოს კეთილდღეობა, მისი ნათელი მომავალია. ჩვენც, უბრალო მოკვდავნიც, ყოველდღიური წვრილმანითა თუ მნიშვნელოვანი საქმეებით უკეთესი ხვალინდელი დღისთვის ვაშენებთ საძირკველს. ჩვენ თუ გავიაზრებთ, რომ ყოველივე, რაც დღეს ხდება მსოფლიოში, კანონზომიერი პროცესია, რომ უკანდასახევი გზა არ არსებობს, რომ გაჭირვება, მუხლჩაუხრელი შრომა გარდაუვალია, ცხოვრება უფრო გაგვიადვილდება, მეტი ენთუზიაზმით ვიმოქმედებთ.

ისტორია ყველა სახელს ვერ შემოინახავს, მხოლოდ ძირითადი ფაქტები და მოვლენები იქნება შთამომავლობის ანალიზის საგანი, მაგრამ მყარი, მტკიცე საძირკველი მომავალი დემოკრატიული საქართველოსთვის ჩვენი ჩასაყრელია.

ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲐᲮᲐᲚᲓᲘᲐᲜᲘ.
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ.

ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ

ᲚᲘᲤᲢᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲡ...

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ თბილისის მერიის გადაწყვეტილებით ლიფტების მომსახურების საფასური გადახდა მთლიანად მობინადრეებს დაეკისრათ, რაც მათ გარკვეული მიზეზების (მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ელექტროენერგიის ხშირი გამორთვა) გამო ვერ შეძლეს. ლიფტების მნიშვნელოვანი ნაწილი მომსახურების გარეშე დარჩა, რამაც მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ამას დაერთო რამდენიმე უბედური შემთხვევა.

მობინადრეების მხრივ ლიფტების თვითნებურ ექსპლუატაციას მარტო ბოლო ერთ თვეში სამი კაცი შეეწირა. ამასთან მთლიანად დაიშალა ქალაქის სალიფტე მეურნეობა. უხელფასოდ დარჩენილმა 500-მდე თანამშრომელმა, მათ შორის მაღალკვალიფიცირებულმა სპეციალისტებმაც, მიატოვეს სამსახური.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლიფტები ემსახურება იმაზე უფრო მეტ მგზავრს, ვიდრე ერთად აღებული ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტი. თბილისის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა ზემოაღნიშნული ვითარება და 1995 წლის 3 აპრილის № 159 განკარგულებით რაიონის გამგეობებს დაავალა გარდამავალ პერიოდში ლიფტების მომსახურების 50 პროცენტის ანაზღაურება საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების მეშვეობით არასაცხოვრებელი ფართობის საიჯარო ქირიდან მიღებული შემოსავლებიდან უზრუნველყონ, ხოლო მომსახურების საფასურის 50 პროცენტი, ანუ ერთ სულზე 195 ათასი კუპონი მობინადრეებს ბინის ქირასთან ერთად გადაიხდევინონ (ბინის ქვითარში თანხის ჩვენებით). ამის გარდა, მობინადრეებს შეუძლიათ მომსახურების საფასური ცალკეულ სადარბაზოებზე ან მთლიანად შენობაზე უშუალოდ გაერთიანება „თბილლიფტში" პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე გადაიხადონ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ამ განკარგულებით განსაზღვრული წესის თანახმად თანხების სრულად ანაზღაურების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ლიფტების ექსპლოატაციასა და ყველა სახის რემონტზე გაერთიანება „თბილლიფტს" ეკისრება, გარდა იმ ლიფტებისა, რომლებიც გაჩერებულია გაძარცვის და ძრავების გადაწვის გამო. ისინი უნდა შეკეთდეს მობინადრეთა ხარჯზე, შემდგომ ექსპლუატაციას ამ ლიფტებსაც „თბილლიფტი" გაუწევს.

ამავე განკარგულებით, მრავალსართულიანი და მაღლივი საცხოვრებელი სახლების პირველ და მეორე სართულებზე მცხოვრები ოჯახები განთავისუფლდნენ ლიფტების მომსახურების გადასახადისაგან.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ,
გაერთიანება „თბილლიფტის" უფროსი.

ᲐᲡᲔ ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ

ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის წევრს, პროფესორს, მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ექს-პრემიერს, ბატონ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲘᲒᲣᲐᲡ!

პარლამენტის სხდომაზე ა. წ. 4 მარტს წარმოთქმული სიტყვის გამო.

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ თენგიზ! თქვენს სიტყვაში, ჩემდა გასაკვირად, ბრძანეთ, რომ მთავრობის მეთაურად მუშაობის დროს გქონდათ დანერგილი შესანიშნავი პრაქტიკა — თქვენ აძლევდით კრედიტს „საქგაზს", იგი ყიდულობდა ჩაის, კონიაკს, ღვინოს, სხვა პროდუქტებს და ამით, კლირინგის წესით, უსწორებდა ანგარიშს თურქმენეთს.

აი, თურმე როდის დაუწყია მთავრობას „საქგაზის" ნგრევა, მისი დაშლა და ეკონომიკის განადგურება.

რეპლიკა ამ განცხადების თაობაზე იმ დღესვე ჩამოვაყალიბე, მაგრამ გამოქვეყნებაზე თავი შევიკავე.

მაგრამ, როდესაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 6 აპრილის ნომერში წავიკითხე სახელმწიფოს მეთაურის ა. წ. 17 მარტის განკარგულება „საქგაზისათვის" თურქმენეთთან ვალის დასაფარავად კრედიტის გამოყოფის შესახებ, სადაც მე-3 მუხლით მასვე ევალება 1995 წლის 1 ივლისამდე დაუბრუნოს რესპუბლიკის ბიუჯეტს 2 მილიონი აშშ დოლარის შესატყვისი თანხა კუპონებში, სათანადო საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, დავრწმუნდი, რომ ეს სახელმწიფო პოლიტიკა, სამწუხაროდ, მცდარი, არასწორი და დასაგმობია, რადგან ის ანგრევს, როგორც დეპარტამენტს, ისე ქვეყნის ეკონომიკას.

რატომ? მოგახსენებთ:

დეპარტამენტი „საქგაზი", დამეთანხმებით, ისეთივე სამეურნეო ორგანიზაციაა და კომერციული სტრუქტურაა, როგორც ნებისმიერი ფირმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. იგი შუამავალი ორგანიზაციაა, ყიდულობს გაზს (ამჟამად თურქმენეთში), უკეთებს ტრანსპორტირებას და ჰყიდის მომხმარებელზე. ის არ შეიძლება ზარალიანი ან გადახდისუნარომოკლებული იყოს, თუ ნორმალურად და გონივრულად იმართება.

დეპარტამენტი შეიძლება გაკოტრდეს და კრახის წინაშე აღმოჩნდეს, თუ ის ანგარიშსწორების ცნობილი წესის დარღვევით გაზს აწვდის მომხმარებელს, რომელსაც გადახდის უნარი არა აქვს.

„საქგაზს" დღეს სწორედ გაზის ასეთ მომხმარებლებთან აქვს საქმე — „საქენერგო" (ვალი 90 ტრილიონი კუპონი), რუსთავის მეტალურგიული ქარხანა (23 ტრილიონი კუპონი), გაერთიანება „აზოტი" (20 ტრილიონი კუპონი) და ა. შ.

ამის მიუხედავად, ხელისუფლება ავალებს „საქგაზს" გააგრძელოს მათზე (და ზოგიერთ სხვაზეც) გაზის უანგარიშსწოროდ მიწოდება.

ბუნებრივია, ამ ვითარებაში „სა ქგაზი" გაზის მომწოდებელს (თუ რქმენეთს) საფასურს ვერ უხდის, დავალიანება იზრდება.

თქვენ მოითხოვთ კრედიტი მი ეცეს „საქგაზს". კრედიტს პრო ცენტები მოსდევს, რაც კიდევ უფ რო ამძიმებს მის ისედაც მძიმე ფი ნანსურ მდგომარეობას.

უფრო მართებული არ იქნებო და, კრედიტი „საქგაზისათვის" კ არა, იმ მომხმარებელი ორგანიზა ციებისათვის მიგვეცა, ვინც გაზ ილებს, ფულს კი ვერ იხდის? რო მათ გადაეხდათ ვალი „საქგაზი სათვის" და ნორმალური ანგარიშ სწორება მომხდარიყო. ასეთ მიდგომა „საქგაზს" მისცემდა სა შუალებას ვალი გადაეხადა თურ ქმენეთისათვის და კრედიტის პროცენტის სახით ახალი ვალი არ გასჩენოდა. აღდგებოდა ანგა რიშსწორების ნორმალური მექ ნიზმი.

ისევე, როგორც საათი ვერ იმ შავებს, თუ მისი მექანიზმის ყვე ლა დეტალი ერთმანეთს მორგ ბული არ არის და ზამბარის ძალ არ გადაეცემა შემდეგ დეტალ ასევე საბაზრო ეკონომიკა ნორმ ლურად ვერ ამოქმედდება, თ მომხმარებელსა და მიმწოდებე შორის არ არის ზუსტი ანგარი სწორება. ეს ელემენტარული ჭ შმარიტებაა.

ამიტომ, ვიდრე ხელისუფლე არ შეწყვეტს ქვეყნის გაზმომა გებაში უაზრო ჩარევას, საქარ ლოს გაზი არ ექნება. უფრო მ ტიც, საქართველოს გაზმომარაგ ის უნიკალური მეურნეობა, რომ ლიც საბჭოთა ხელისუფლების პერი დში რუდუნებით ააშენეს და ქმნეს თაობებმა, დაინგრევა დაიშლება.

საქართველოს წიაღშიც რომ ა მოჩნდეს ბუნებრივი გაზი, ლსაც ექნებათ, არ იქნება ის და მოწყობილობა, რომელიც ამდენ გაზით ამარაგებდა მოსახ ობას, იცავდა ტყეებს განად რებისაგან, ეკოლოგიას; დაი ტება და არ იქნება სპეციალ ტთა ის არმია, რომელიც ათ ლი წლების მანძილზე მზადდებ და ურომლისოდაც გაზის ერთ ლიანი მეურნეობის ექსპლუატა წარმოუდგენელია.

ასე ინგრევა ქვეყანა. შეხედ რესპუბლიკის გაუბედურებულ ლაქებსა და სოფლებს, ბაღ-ვ ხებს, გაციებულ სკოლებსა და ატრებს, საცხოვრებელ სახლ გაჩერებულ მშენებლობებს, გარეულ გზებს. ამაზე ვიღაცამ უნდა აგოს პასუხი.

პატივისცემით,
ᲡᲔᲠᲒᲝ ᲠᲘᲒᲕᲐ

აქტუალური ინტერვიუ

იმედები და რეალობა, ანუ რას უნდა ელოდნენ მოტყუებული მეანაბრენი?

ვაჟა ბერიძემ 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით „სახალხო მეურნეობის დაგეგმვა“. 1977-1988 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში, 1988-1992 წლებში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, 1992-1995 წლებში — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში: სახელმწიფო მრჩევლად, წამყვან სახელმწიფო მრჩევლად; საფინანსო-საკრედიტო განყოფილების გამგის მოადგილედ.

1995 წლის 23 თებერვალს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, იგი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის საფინანსო, საინვესტიციო-სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა (საზოგადოებათა) საქმიანობის კოორდინაციისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსად. არის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ვიდრე საუბარს დავიწყებდით, მოტყუებულ მეანაბრეთა წერილებს გავეცანი. „ძალიან მერიდება, მრცხვენია კიდეც. მაგრამ ხად გავექცევი, ვშიშობ, — იწერება სახელმწიფოს მეთაურისადმი გაგზავნილ წერილში გადამდგარი გენერალი, სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი იოსებ მაღლაშვილი — 4 მილიონი კუპონით (პენსია), რა თქმა უნდა, კაცი თავს ვერ ირჩენს. ტელევიზორი, ძმის ავტომანქანა, ყველაფერი ძვირფასი, რაც კი ოჯახში გამაჩნდა და შეგროვილი დოლარები შევიტანე კომპანია „გზაში“. ვფიქრობ, მიღებული დივიდენდით ვირჩენდი თავს, მაგრამ... პატიოსნებას გეფიცებით, თუ ჩემი თანხა არ დამიბრუნდე, ეს დავრდომილი, 90 წელს გადაცილებული კაცი ლილით გავუსწორდები კომპანიის მესვეურებს და მერე თვითმკვლელობით დავასრულებ რაღაც წლების თუ დღეების დარჩენილ სიცოცხლეს. გთხოვთ მიხსნათ ამ განსაცდელისგან“.

მხოლოდ ამ ერთი წერილის გაგაცანით (გაზეთი ყვე- ვერ დაიტევს), ფაქტობრივად დედაქალაქის ათასობით გაცუ- მეანაბრე დარჩა როდ. საქართველოს უზ- შვილთა უძლებ მუცელს შეე- უამრავ ლტოლვილთა, დავრ- და გაჭირვებულთა ცო- და ცრემლით ნაგროვები

— დღეს, ისევე როგორც ჩვენს საზოგადოებაში, — რესპუბლიკის მინისტრ- კაბინეტთან არსებული საფინ- საინვესტიციო-სატრასტო და სადაზღვევო კომპანიათა (საზო- გადოებათა) საქმიანობის კოორ- და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ვაჟა ბერი- — მეანაბრეთა შორისაც არი- გაჭირვებულები, მათ ლტოლვილები, რომელთა მხოლოდ ის თანხები იყო, მათ დივიდენდის მიღების კომპანიებსა და ბანკებს არიან საოპერაციონი, არი- ზღვარზე მისული პროფესორები, სხვა სოციალური ფენე- წარმომადგენლები, რომელთ- ოჯახის ნივ- სამკაულები, ავტომანქანე- გაყიდეს, ზოგმაც ბინა ქალაქის გარეუბანში გაცვალა გაყიდა), რათა „მოგებული“ ბანკში შეეტანა და იქიდან დივიდენდით ერჩინა ასეთები მთელი დღის გან- რეკავენ ჩემთან, მიხ- თავიანთ გასაჭირს, მთხოვ- დახმარებას. ყოველივე ამას მოუსმინო და გაუძლო, კაცს მაგარი უნდა გქონდეს და

— ბატონო ვაჟა, რაც მოხდა, ნათელია (საზოგადოება ინფორმირებულია), მაგ- ყველა როდი აძლევს მას ობ- შეფასებას. მომხდარს როგორ შეაფასებდით?

— ის, რაც მოხდა, მე პირადად ეკონომიკისა და მეწარ- პრინციპებით მიმავალი ღირსების შელახვად მიმაჩ- ეს ქვეყანაში დაწყებული რე- ერთგვარი მარცხიც გახ- რა დასამალია, თავისუფა- მეწარმისათვის მინიჭებული უფლება, ზოგმა ბო- და დამახინჯებით გამოი- ჩემი აზრით, აუცილებელი არა „ყოველნაირი თავისუფ- გამოცხადება, არამედ, რე- მოძრაობის სახელ- უზრუნველყოფა და

— შეფასება ერთია, მაგრამ უფ- არსებითი მეორეა: რა ეშველ- დაზარალებულ მეანაბრეებს, ბედზე ვინმე თუ ზრუნავს?

— მეანაბრეთა ინტერესების თავისი აზრი გამოთქ- სახელმწიფოს მეთაურმა. „ყვე- უნდა ვიღონოთ, რათა არ დაზარალდნენ“ თქვა ბატონმა ედუარდ შევარ-

— ბოდიშს ვიხდი, გაწყვეტინ- შეპირება კარგია, მაგრამ რა პრაქტიკულად ამ დანაპი- შესასრულებლად? ფაქტი დღემდე არც ერთ დაზარა- მეანაბრეს დაკარგული თა- არ დაბრუნებია.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საამისოდ არავითარი მუშაობა არ წარმოებს. სახელმწიფოს მეთაურის სიტყვების შესასრულებლად პასუხისმგებლობა აიღო რესპუბლიკის მთავრობამ, რომელმაც ამ საკითხზე სპეციალურად 7 დადგენილება მიიღო.

მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 ნოემბრის № 802 დადგენილებით სამართალდამცავ ორგანოებს კომპანიებისა და ბანკების მიერ განიავებულ-გატაცებული თანხების მოძიება დაევალათ. დადგენილებაში ჩაიწერა, რომ გამოძიებაში მონაწილეობა მიაღებინონ თვით მეანაბრეებს, მეანაბრეთა უფლებების დაცვის საზოგადოებას და ინფორმაცია გამოძიების შესახებ თვეში ორჯერ მიაწოდონ მეანაბრეებს.

— როგორც ვიცი, ასეთ ინფორმაციას მეანაბრეები ვერ ღებულობენ.

— სწორი შენიშვნაა. და ეს მათ, ვისაც ეხება, უნდა გაითვალისწინონ.

არის მინისტრთა კაბინეტის მეორე დადგენილებაც (1995 წლის 20 თებერვალი, № 95), რომლის ძალითაც 19 კომპანიასა და ბანკზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს (ბანკ „ინოვაციის“ საქმეს კი უშუალოდ რესპუბლიკის პროკურატურა იძიებს). გამოძიების დაჩქარებისა და კვალიფიციური ძიების მიზნით მინისტრის ბრძანებით, თითოეულ საქმეზე დამატებით მიმაგრებულ იქნენ საგამოძიებო დეპარტამენტისა და ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის ხელმძღვანელი მუშაკები.

კონკრეტული დავალებები მიეცათ სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, რესპუბლიკის პროკურატურას, იუსტიციის სამინისტროს. ამ უკანასკნელს დაევალა რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსთან, პროკურატურასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ კომპანიებისა და ბანკების სადღეისოდ არსებული თანხების, უძრავ-მოძრავი ქონებისა და შემდგომში მოძიებული თანხების მეანაბრეებზე გადაცემის სამართლებრივი მექანიზმი. საქმე ეხება დღეისათვის მოძიებულ და ყადაღადადებულ 65 ათას ამერიკულ დოლარს, 17 მილიონ რუსულ რუბლს, გარკვეული თანხის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, ავტომანქანებს, სამოცდაათამდე საცხოვრებელ ბინასა და ოფისს.

ეს რაც პირველ რიგში უნდა გაკეთდეს. მეორე მხრივ, მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში ჩვენი რესპუბლიკის სხვა მოქალაქეებიც არ ჩავარდნილიყვნენ, კერძოდ, მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 20 ოქტომბრის № 748 დადგენილებით დარეგულირდა მსგავსი კომპანიებისა და ბანკების რეგისტრაციის წესი — სავალუტო ოპერაციების წარმოებისა და ფასიანი ქაღალდების გამოსაშვებად შემოღებულ იქნა შესაბამისი ლიცენზიები (თუ არა გაქვს საკმაო ბაზა, თანხებსაც ვერ მოიზიდავ).

— აი, ყველაფერი ეს რომ ადრევე გაკეთებულიყო, ალბათ ამ „ფიასკოს“ გადავურჩებოდით. ახლა თუ იღებენ ზომებს გაკოტრებული თუ გაძარცული კომპანიების გაქცეულ მესვეურთა დასაკავებლად?

— 9 კაცი დაპატიმრებულია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები რუს კოლეგებთან ერთად ეძებენ გაქცეულებს. 13 კაცის დაპატიმრებაზე გაცემულია დეპარტამენტის სანქცია, აქედან 3 საერთაშორისო ძებნაშია (ინტერპოლის მეშვეობით).

— ხალხში ათასგვარი ხმებია გავრცელებული. ბევრი ფიქრობს, რომ კომპანიები და ბანკები კი არ გაკოტრდნენ, არამედ, ისინი, სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებულმა ცალკეულმა ბნელმა ძალებმა გაძარცვეს. თქვენ რას იტყოდით?

— თუ რამდენად რეალურია ხალხში გავრცელებული აზრი, ამაზე პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს. ჩემი სამსახურის სამუშაო პრინციპები მეანაბრეთა მიმართ უფრო სხვა მიმართულებით — ეკონომიკური ჭრილით უნდა განხორციელდეს.

— თქვენ კიდევ რაღაცის თქმას აპირებდით მთავრობის გადაწყვეტილებათა თაობაზე და მე შეგაწყვეტინეთ...

— დიახ, მინდოდა მესამე დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაზეც მეთქვა. მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა თანხების სრულ ამოღებამდე, მეანაბრეებს დამატებით კომერციული საქმიანობის მასტიმულირებელი პირობები შეუქმნას. ლაპარაკია იმაზე, რომ გაკოტრებული კომპანიებისა და ბანკების მეანაბრეთა ბაზაზე შექმნილ სააქციო საზოგადოებებზე მთავრობამ სთხოვა პარლამენტს გაანთავისუფლოს ისინი საბაჟო, მოგების, დამატებული ღირებულების და იმპორტულ საქონელზე აქციზის გადასახადებისგან.

— მეანაბრეებმა რატომ მაინც და მაინც სააქციო საზოგადოებები უნდა შექმნან და არა სხვა რამ?

— ეს ვარიანტი სამთავრობო კომისიაზე (თავმჯდომარე თ. ბასილია) თვით მეანაბრეთა მონაწილეობით შემუშავდა და, უნდა ითქვას, ლოგიკურიც არის. გაკოტრდა კომპანია ან ბანკი, ვის უნდა გადაეცეს მათი სადღეისოდ არსებული და სამომავლოდ მოსაძიებელი თანხები და ქონება, თუ არა მეანაბრეებს? (ისინი ხომ მათი კუთვნილებაა). დიახ, ისინი უნდა გადაეცეს მეანაბრეებს, მაგრამ არა ცალკეულ მეანაბრეებს, არამედ, მთელ კოლექტივს. მთელი კოლექტივი კი მეწარმეთა შესახებ კანონის (1994 წლის 28 ოქტომბერი) შესაბამისად არის სააქციო საზოგადოება. მოძიებული ქონების გადაცემა მოხდება იურიდიულ პირზე (თუნდაც უნაღდო ანგარიშსწორებით), რათა გამოირიცხოს ყოველგვარი მაქინაცია.

სააქციო საზოგადოება კანონის შესაბამისად აირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს (არაუმეტეს 21 კაცის შემადგენლობით), რომელიც გადაწყვეტს მისთვის გადაცემული ქონების მეანაბრეებზე განაწილების წესს. ესე იგი, მეანაბრეები თვითონ განკარგავენ თავიანთ ქონებას. ასეთივე წესით მოხდება მომავალშიც, თუნდაც ერთი წლის შემდეგ, სააქციო საზოგადოებისთვის გადაცემული თანხების განაწილებაც. შეიძლება შეიცვალოს პიროვნება, მაგრამ არ შეიცვლება სამეთვალყურეო საბჭო და განაწილების წესი.

— ბატონო ვაჟა, თითქოს ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ იბადება ასეთი კითხვა — მეანაბრე, რომელიც სააქციო საზოგადოებაში გაერთიანდა, კარგავს თუ არა მეანაბრის სტატუსს?

— გაკოტრებული კომპანიის (ბანკის) მესვეურებს მეანაბრის ვალის სრულ გასტუმრებამდე პასუხისმგებლობა არ ეხსნებათ.

— ისიც გასარკვევია, რომელი კანონის ძალით ჩაითვლებიან სააქციო საზოგადოებები გაკოტრებული კომპანიების სამართალმემკვიდრეებად?

— პირველ რიგში ასეთი კომპანიები და ბანკები სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ უნდა გამოცხადდნენ გაკოტრებულად. საწარმოთა გაკოტრების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 11 სექტემბრის დეკრეტის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს დასკვნით, გაკოტრებული კომპანიებისა და ბანკების სამართალმემკვიდრედ სასამართლომ უნდა ცნოს სააქციო საზოგადოება.

— ასეთ სააქციო საზოგადოებებზე, როგორც თქვით, გავრცელდება შეღავათები, მაგრამ ეს ვინ უნდა გააკეთოს?

— ეს უკვე დამოკიდებულია პარლამენტზე, რომელსაც მართლაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ასეთი საზოგადოებებისათვის. თუ მეანაბრეები დარწმუნდებიან, რომ პარლამენტი სააქციო საზოგადოებებს გადასახადებისაგან გაათავისუფლებს, მაშინ მათი სამეთვალყურეო საბჭოები შექმნიან დირექტორატს და ხელს მოკიდებენ კომერციულ საქმიანობას, რათა შეავსონ მეანაბრეთა ძირითადი თანხები ანუ საწესდებო ფონდი. საზოგადოება მოძიებულ თანხებს დააბანდებს ბიზნესში. მაგრამ ასეთ სააქციო საზოგადოებებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეტმასნონ სხვა ფირმები და საზოგადოებები, არ უნდა ისარგებლონ მისი ეგიდით და თავი არ უნდა აარიდონ საბიუჯეტო გადასახადებს.

ფაქტობრივად, დღეს არც ერთი ასეთი საზოგადოება (თუმცა ისინი უკვე ხუთია) არ ეწევა კომერციულ საქმიანობას და ცხადია ბიუჯეტსაც არაფერს უხდის. შეღავათების მიცემის შემთხვევაში ფართოდ გაიშლება კომერცია, დამყარდება კონტაქტები უცხოეთის ფირმებთან (მათ ჭარბი პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა აწუხებთ),რომლებიც კონსიგნაციის თუ სხვა გარანტიების საფუძველზე რესპუბლიკაში შემოიტანენ ხორბალს, კარტოფილს, კარაქს, ზეთს, შაქარს, მედიკამენტებს და პირველი მოთხოვნილების სხვა პროდუქტებს (ამის მსურველები უკვე არიან პოლონეთიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან). ჩვენს ბაზრებში ფეხს მოიკიდებს ჯანსაღი კონკურენცია, გაუმჯობესდება საქონლის ხარისხი, დაიწევს ფასები. ეს უკვე რეფორმების ჯანსაღი მხარეა.

— მაგრამ, მეანაბრეები მოგებას როგორ გაინაწილებენ?

— რადგანაც ხელისუფლებამ მეანაბრეთა თანადგომა ითავა, მანვე უნდა შეუქმნას პირობები ნორმალური კომერციული საქმიანობისთვისაც. მხედველობაში მაქვს ნორმალური სადაზღვევო მექანიზმის ამოქმედება და კომერციული საქმიანობის პირველ ეტაპზე (საწესდებო კაპიტალის შევსებამდე) სახელმწიფოებრივ დონეზე კონტროლის განხორციელება. კერძოდ, შემოტანილი საქონლის სახელმწიფო მაღაზიებში (ისინი სანახევროდ ცარიელია) რეალიზაცია, მოგებული თანხების სააქციო საზოგადოებების ანგარიშზე ყოველდღიური შეტანა. მისი ჩათვლა საწესდებო კაპიტალში და ყოველი ოპერაციის შემდგომ მეანაბრეებზე პროპორციული წესით განაწილება. მეანაბრეებმა თანხები ბანკიდან უნდა მიიღონ ჩეკით. ეს პროცესი თუ შემუშავებული გეგმის მიხედვით წარიმართა, შეიძლება მეანაბრეებზე თანხების გაცემა დაიწყოს ორი თვის შემდეგაც. თუნდაც პირველი სავაჭრო ოპერაციის განხორციელებისთანავე (ვთქვათ, 20-20 ან 50-50 დოლარის ოდენობით, მეორე სავაჭრო ოპერაციაზე ანალოგიურად და ასე შემდეგ).

— გასაგებია, ყველა მეანაბრე გაჭირვებულია. მაგრამ არიან უგაჭირვებულესებიც. თანხების გაცემისას მათ რაიმე პრიორიტეტი ხომ არ ექნებათ?

— ეს თვით სააქციო საზოგადოებათა კოლექტივების საქმეა და არ მინდა მათ ფუნქციებში ჩავერიო. მათ უკეთ იციან როგორ და ვისზე გაანაწილონ თანხები.

— თუ მეანაბრეს სააქციო საზოგადოებაში გაერთიანების სურვილი არა აქვს?

— იმ შემთხვევაში, თუ მეანაბრე არ შევა სააქციო საზოგადოებაში, მოძიებული თანხების განკარგვა-განაწილება გაძნელდება. ეს რომ არ მოხდეს, მეანაბრეს შეუძლია შევიდეს სააქციო საზოგადოებაში, თავისი წილი მიიღოს და გავიდეს. მაგრამ მეანაბრე თუ არ ეთანხმება სამთავრობო გადაწყვეტილებას და ჯერ კიდევ ენდობა კომპანიის (ბანკის) ხელმძღვანელს (რომლის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე), მაშინ ის უნდა დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რათა მიიღოს თავისი წილი. ეს პროცესი კი შეიძლება წლობით გაგრძელდეს. თუ მეანაბრე სხვა გარეშე პირს ენდობა და მისგან თუნდაც 1000 დოლარს მოელის, ასეთ მეანაბრეთა ინტერესების დაცვაზე, რა თქმა უნდა, ხელისუფლება ვერ იზრუნებს.

— ახლა ყველაფერი (რაც ზემოთ ითქვა) დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რას გადაწყვეტს პარლამენტი?

— დიახ, ახლა სიტყვა პარლამენტზეა. მთავრობამ, რაც შეეძლო, თავის მხრივ ყველაფერი გააკეთა. მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება (1995 წლის 23 თებერვალი, № 105) მეანაბრეთა მიერ შექმნილი სააქციო საზოგადოებების გადასახადებისგან განთავისუფლების შესახებ და კანონპროექტი დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. 2 მარტს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (გაფართოებული შემადგენლობით) ერთხმად მოიწონა კანონპროექტი და განსახილველად გადასცა დეპუტატებს. 10 მარტს პარლამენტმა განიხილა ეს საკითხი მაგრამ იმის გამო, რომ დღის ბოლოს კვორუმი არ შედგა, იგი დღემდე ღიად დარჩა, მთლიანობაში საკითხისადმი კეთილგანწყობა იყო, თუმცა ცალკეულმა პარლამენტარებმა გულგრილი დამოკიდებულება გამოიჩინეს, რაც მეანაბრეთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს. მოლოდინით დაღლილ-გაწამებული ხალხი მოითხოვს პარლამენტარებისაგან სახელობით კენჭისყრას და შედეგების პრესაში გამოქვეყნებას. არადა, კაცმა რომ თქვას, ამაში განსაკუთრებული არაფერია, გარდა მეანაბრეთა მიმართ სიკეთისა, მაგრამ საქმე მაინც წინ ვერ იწევს.

— საქმეზე კი, თუ მაინც დაიძრა, კონტროლს ვინ დააწესებს?

— მინისტრთა კაბინეტი. სწორედ ამისთვის შეიქმნა სპეციალური სამსახური, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლავართ. შემუშავებულია სამსახურის დებულება, განსაზღვრულია მიზნები და ფუნქციები. პირველი რიგის ამოცანად მესახება შექმნილი მწვავე სიტუაციის განმუხტვა, შემდგომ ეტაპზე — სამეწარმეო პრინციპების დამკვიდრება და ეკონომიკური რეფორმებისათვის ხელშეწყობა. ვფიქრობ, დასახული ამოცანები ძალზე პრობლემურია და უცილოდ გადასაწყვეტი. მათთვის თავის გართმევა თუ შევძელი, უფალს მადლობას შევწირავდი.

— კიდევ რისი თქმა გინდოდათ?

— მინდა მკითხველს გამოვუტყდე გაზეთებს შორის „საქართველოს რესპუბლიკისადმი“ ჩემს სიმპათიებში. მადლობელი ვარ თქვენი რედაქციისა, რომელმაც განიზრახა მეანაბრეებს მიაწოდოს ფართო ინფორმაცია.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი..

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სენსაცია

ჟურნალი „შპიგელი“ ჰიტლერის სიკვდილის შესახებ

ამ დღეებში მსოფლიო პრესა ფართო კომენტარს უკეთებს გერმანულ ჟურნალ „შპიგელში“ გამოქვეყნებულ სენსაციურ სტატიას ჰიტლერის სიკვდილის შესახებ. აქამდე ხომ საიდუმლოებით იყო მოცული ის, თუ რა გარემოებებში გარდაიცვალა იგი და სად არის დაკრძალული.

„შპიგელის“ ხელთ აღმოჩნდა „სრულიად საიდუმლო“ გრიფიანი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იური ანდროპოვი. საბჭოთა დაზვერვის შეფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე 1970 წლის 13 მარტს გაგზავნილ წერილში, კერძოდ, უწყებოდა: „1946 წლის თებერვალში ქალაქ მაგდებურგში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) სამხედროთა დასახლების ტერიტორიაზე, რომელზეც ამჟამად განლაგებულია გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მე-3 არმიის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განსაკუთრებული განყოფილება, დაკრძალეს ჰიტლერის, ევა ბრაუნის, ჰებელსის, მისი ცოლისა და შვილების ნეშტი. (სულ — 10 გვამი). ამჟამად ამ სამხედრო დასახლებას, ჩვენი ჯარების ინტერესებიდან გამომდინარე და სამსახურებრივი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, არმიის სარდლობა გადასცემს გერმანიის ხელისუფლებს. ვითვალისწინებთ რა ამ ტერიტორიაზე სამშენებლო ან სხვა მიწის სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს სამარხის აღმოჩენა, მიზანშეწონილად მივიჩნევდი ნეშტთა ამოღებასა და მათ დაწვას განადგურების მიზნით...“.

მალე ანდროპოვმა მიიღო თანხმობა ცენტრალური კომიტეტიდან და 1970 წლის 4 აპრილის ღამით ჯარისკაცთა და ოფიცერთა სპეცჯგუფმა მაგდებურგის სამხედრო დასახლების ტერიტორიიდან ამოთხარა ჭურვების ხუთი დიდი ყუთი. ამ ყუთებში იმყოფებოდა ჰიტლერის, ევა ბრაუნის, იოზეფ და მაგდა ჰებელსების და მათი ექვსი ბავშვის ნეშტი, რომლებიც თურმე დაღუპულან ჰიტლერის ბუნკერში მოწამვლის შედეგად. ყუთები გაიტანეს პოლიგონზე და მათი შიგთავსი დაწვეს.

ამ ზესაიდუმლო დოკუმენტის ნამდვილობა დაადასტურა ანდროპოვის კანცელარიის ყოფილმა შეფმა, მოგვიანებით — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა ვლადიმერ კრიუჩკოვმა. კიდევ ერთი განმარტება: 1946 წლის თებერვალში ჰიტლერი, თურმე, უკანასკნელად დაუმარხავთ. მანამდე ლავრენტი ბერიას მითითებით, სამჯერ ამოუთხრიათ ფიურერის გვამი, განუხორციელებიათ ექსპერტიზა, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყვნენ, რომ ეს ნამდვილად ჰიტლერი იყო. ამას ითხოვდა სტალინი. მას არაფრით არ სჯეროდა, რომ უმთავრესი მოწინააღმდეგე მკვდარი იყო.

რა გზით მოხდა ანდროპოვის ხელმოწერილი საიდუმლო დოკუმენტი ჟურნალ „შპიგელის“ რედაქციაში? ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იგი რედაქციას მიჰყიდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალი თანამდებობის პირმა „მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო“. მეთვალყურეთა აზრით, გარიგების თანხა არაერთ ასეულ ათას გერმანულ მარკას უნდა შეადგენდეს.

ბესიკ ფიფია,
საქინფორმის საკ. კორ.

ვითარება ჩეჩნეთში

ნაზრანი. როგორც სააგენტო „იფრინდას“ კორესპონდენტს ჩეჩნეთში აცნობეს, 18 აპრილს, ღამით, რუსეთის ჯარების ქვედანაყოფებმა, საარტილერიო მომზადების შემდეგ, სამ კოლონად, რომელთა შემადგენლობაში იყო 2 მოტომსროლელთა პოლკი, ასი ტანკის დახმარებით, სანათი რაკეტებისა და ბომბების გამოყენებით იერიში მიიტანეს სოფლებზე ორეხოვოსა და ბამუტზე. ბრძოლა 4 საათს გრძელდებოდა. რუსეთის მხარემ უკან დაიხია, ბრძოლაში დაკარგა 40-მდე ტანკი და სხვა ჯავშანტექნიკის 17 ერთეული. 18 აპრილს, დილით, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაიწყეს ამ დასახლებული პუნქტების დაბომბვა, გამოყენებულ იქნა მოიერიშე ვერტმფრენები, რომლებიც ასევე ახორციელებდნენ დარტყმებს ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რეაქტიული ჭურვებით. იგივე წყარო იტყობინება, რომ ამ სოფლების მოსახლეობა უხუცესთა აქტიური მონაწილეობით დროულად გახიზნეს (ჩეჩნეთის მხარის სამხედროთა მონაცემებით, რუსეთის ჯარები ცდილობენ დაიკავონ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტი ბამუტი (ყოფილი საბჭოთა სარაკეტო ბაზა რაკეტების სს-20-ის გასაშვები შახტებით), რათა შემდეგ, შავი მთების ბამუტის ქედის გადალახვით, დასავლეთიდან ჩაკეტონ ჩეჩნეთის სოვეტსკაიას რაიონი.

ნაზრანი. იგივე წყარო იუწყება, რომ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობებით, თითქოს გროზნოში ვითარება მთლიანად სტაბილიზებულია, ჩეჩნეთის დედაქალაქის ოქტომბრის რაიონი შამილ ბესაევის ქვედანაყოფთა კონტროლს ექვემდებარება.

ნაზრანი. იგივე წყარო იტყობინება, რომ ცდილობენ სალამბეკ ხაჯიევისა და მისი უახლოესი გარემოცვის ფიზიკურ მოსპობას, მაგრამ, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ კარგად ორგანიზებული დაცვის წყალობით, ეს აქცია დუდაევის მომხრეებმა ჯერჯერობით ვერ განახორციელეს.

გამოძიება გრძელდება

ბაქო. როგორც სააგენტო „იფრინდას“ კორესპონდენტი იუწყება, აზერბაიჯანის პროკურატურაში გრძელდება რესპუბლიკაში გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებული საქმის გამოძიება, დღეისათვის დაპატიმრებულია 361 კაცი, რომელთა შორის, საკმაოდ ბევრი თანამდებობის პირია. აზერბაიჯანის პროკურორმა გასცა 2115 კაცის დაპატიმრების სანქცია, მაგრამ, პროკურატურის მონაცემებით, მათი ნაწილი რუსეთში, საქართველოსა და თურქეთში იმალება. 74 კაცი გაანთავისუფლეს, ვინაიდან პროკურატურამ დაადგინა, რომ ისინი დაკავშირებული არ იყვნენ გადატრიალების მცდელობასთან.

პრობლემა

აქლემი, რომელიც სხვათა კარზეც დაიჩოქებს

როგორც სხვა ყველაფერი ჩვენს ირგვლივ, დღეს განათლე- დარგიც ღრმა კრიზისს გა- საყოველთაოს და ყო- სახელმწიფო თუ სასწავლებლებში ფასიანი შემოღება განათლე- სისტემის ნაწილია, თვით კი, სრული სახით, ჯე- არ ჩანს, რეფორმის ამ ფრა- ის მოჰყვა, რომ 21 სახე- უმაღლესი სასწავლებ- გვერდით გაჩნდა 200-ზე კერძო უნივერსიტეტი, აკა- თუ ინსტიტუტი. როგორც იყო, აქაც გადავა- სასწავლებლები იქმნება „ცარიელ ხელზე“, სასწავლო-მატერი- ტექნიკური ბაზისა და სა- კადრე- ქონლად (რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება). მაგრამ რომ ასეთი სიუხვე მაინც არ არის. თვით გაატარებს ყველაფერს და თითოეულს თავის მიუჩენს: მოსაწონს ფარ- გზას გაუხსნის, დასაწუნს და კარს მიუხურავს..

სხვა რამ არის და სწო- ამან ავვაღებინა კალამი: დამფუძნებლისა ადმინისტრირების პრობლემე- ვინ აფუძნებს სასწავლებელს, მიზნით აფუძნებს და როგორ თავის ურთიერთო- მასთან? ეს რომ უბრალო არ გახლავთ, კარგად ამას წინათ სახელმ- მეთაურის შეხვედრისას მოქმედ კერძო სასწავლებლების რექ- ერთ ჯგუფთან. იქ ხაზ- აღინიშნა და ბატონი შევარდნაძეც დაეთანხ- რომ გადაწყვეტილება არა- უმაღლესი დამფუძნებლის ნაჩქარევად იქნა მიღე- რომ განათლების სისტე- რეფორმის პროცესში უნდა ადმინისტრაციული მეთოდები, იმის მიუხე- თუ რომელ სტრუქტუ- ეხება ეს — კერძოსა თუ („საქართვე- რესპუბლიკა“, 1995 წ. 4

დამფუძნებელი და კერძო სასწავლებელი... გვინდა ჩვენს განვაზოგადოთ ამ რგოლის ურთიერთდამოკიდებულება. დარწმუნებული ვართ, ამ აქლემმა სხვათა კარზეც უკვე დაიჩოქა, ან ხვალ-ზეგ დაიჩოქებს...

რამდენიმე თვეა (რექტორის, პროფესორ ნ. კირვალიძის გარდაცვალების შემდეგ), თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში გრძელდება დავა, მითქმა-მოთქმა, ცილისწამება, ერთმანეთზე წაკიდება. ერთ მხარეს დგას ინსტიტუტის საბჭოს წევრთა უმრავლესობა, მეორეზე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. დავის მთავარი საგანია თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის დამფუძნებლის აღიარება და, აქედან გამომდინარე, ამ ინსტიტუტის რექტორის დანიშვნის პრეროგატივა, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, უფრო მეტად, მისი დირექტორი, დოცენტი ი. ფუტკარაძე, ერთადერთ დამფუძნებლობას იჩემებს, რასაც ჰუმანიტარული ინსტიტუტის საბჭოს უმრავლესობა კატეგორიულად არ იზიარებს.

1990 წლის ნოემბერში საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების სასწავლო სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე გაიხსნა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკურმა ინსტიტუტმა პირვანდელი სახით 6 თვე იარსება, შემდეგ კი მის ცხოვრებაში „პატარა“ ცვლილება მოხდა, რომელიც ბოლოს დიდ ჭირად ექცა.

მოგეხსენებათ, საბაზრო ეკონომიკა, ყველაფერთან ერთად, კონკურენციასაც გულისხმობს. იმარჯვებს ის, ვისაც უკეთესი „სასაქონლო სახე“ აქვს. ჰოდა, მომრავლებული კონკურენტი სასწავლებლების გარემოცვაში, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, ასე ვთქვათ, „ფასადის შელამაზება“, უფრო პრესტიჟული იერ-სახის მიღება გადაწყვიტა. ასე იშვა 1991 წლის 2 ივნისს „დამფუძნებელთა ხელშეკრულება“, რომლის ძალითაც „საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ერთი მხრივ, და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი შეთანხმდნენ შემდეგზე: შექმნან თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად“. ხელშეკრულებაში გულუხვად და დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ინსტიტუტის საქმიანობის მიმართულებები, რომლებიც ჰარვარდის უნივერსიტეტსაც კი შეშურდებოდა, მაგრამ თვით მონაწილეების (სახელმწიფოსა და სამართლის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტების) უფლება-მოვალეობანი ერთობ მწირად და ბუნდოვნად არის მითითებული:

1991 წლის 10 ივლისს განათლების სამინისტრომ ლიცენზია გასცა სახელმწიფოსა და სამართლის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტებზე მათთან თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის ფუნქციონირების შესახებ.

მკითხველს ბოდიშს ვუხდით ასეთი დეტალიზებისათვის, მაგრამ ამას აუცილებლობა მოითხოვს, იმის თქმის აუცილებლობა, რომ ჰუმანიტარული ინსტიტუტის დაფუძნების რეგისტრირება მოხდა ფორმალურად და კანონსაწინააღმდეგოდ — „მონაწილეების“ მიერ ხელმეორედ დაფუძნდა უკვე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თბილისის მერიის მიერ 1992 წლის 16 ივნისს რეგისტრაციაში გატარებული (№ 868) თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის წესდებაში პირდაპირ არის ნათქვამი, ეს წესდება დამტკიცებულია 1990 წლის 20 ნოემბერს ინსტიტუტის (თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის) საბჭოს სხდომაზეო.

როგორც წესი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მისი დამფუძნებლების მატერიალური და ფულადი სახსრების შენატანების ხარჯზე იქმნება. ამ შემთხვევაში ასეთი სახსრები ჰქონდა მხოლოდ თბილისის ჰუმანიტარულ ინსტიტუტს და არა „დამფუძნებლებს“. ჰუმანიტარული ინსტიტუტის ხელმეორედ დაფუძნებისას მოხდა საწესდებო ფონდის (კაპიტალის) ფიქტიური გაფორმება: ჰუმანიტარულმა ინსტიტუტმა 50 ათასი მანეთი გადაურიცხა მის ე. წ. „დამფუძნებელ“ ორ ინსტიტუტს, რაც სულ მალე, ქალაქის მერიაში რეგისტრირების შემდეგ, უკანვე დაუბრუნდა მას. მიუხედავად ამისა, ყოვლად გაუგებარი მიზეზების გამო, მთელი მატერიალური სიმდიდრის, ქონების მეპატრონე — თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი არ აღმოჩნდა დამფუძნებელთა შორის, რის შედეგადაც ამ ქონებისა და, საერთოდ, ინსტიტუტის მართვის უფლება-მოვალეობანი სხვის ხელში გადავიდა. ჩვენ არ ვიცით, რატომ მოხდა ეს, მაგრამ ეს კი ვიცით: იყო სიტყვიერი შეთანხმება (რის მოწმეებიც ვართ), რომ ზემოაღნიშნული „დამფუძნებლები“ არ ჩაერეოდნენ თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის საქმიანობაში. მართლაც, ინსტიტუტის არსებობის ოთხი წლის მანძილზე, რექტორის გარდაცვალებამდე, „დამფუძნებლები“ პატიოსნად იდგნენ განზე.

არ შესრულებულა „დამფუძნებელთა“ ორ მხარეს — სახელმწიფოსა და სამართლისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტებს შორის დადებული ხელშეკრულების არც ერთი მუხლი ჰუმანიტარული ინსტიტუტის მიმართ ვალდებულებებზე (თუმცა, რომელ ვალდებულებებზეა საუბარი, როცა ისინი სინამდვილეში არაფერს არ ითვალისწინებენ, როგორც ზემოთ წარმოვაჩინეთ). „დამფუძნებლებს“ არ გამოუყვიათ სარევიზიო კომისია და მთელი ოთხი წლის მანძილზე არ შეუმოწმებიათ ინსტიტუტის საფინანსო და საანგარიშსწორებო მდგომარეობა, არ შეუდგენიათ წლიური ბალანსები, რის გამოც 1994 წლის ივლისში გაიფლანგა სტუდენტთა მიერ შემოტანილი 13 ათასამდე დოლარი. 8 თვეა გასული და პასუხისგებაში არავინ მიუციათ, თუმცა ეს ფაქტი ძალიან კარგად იციან „დამფუძნებლებმა“. სარევიზიო კომისიის არარსებობის გამო „დამფუძნებლებს“ არ უზრუნიათ ინსტიტუტის ძვირადღირებული მატერიალური ფასეულობების (ავეჯი, კომპიუტერები, კინოსაპროექციო აპარატურა, საბეჭდი მანქანები, ელექტროლუმელები, კონდიციონერები, ტელევიზორები და ა. შ.) დამტაცებელთა გამოსავლენად და დასაკავებლად.

„დამფუძნებლების“ უკონტროლობის შედეგად ინსტიტუტი, მთელი არსებობის მანძილზე აყვანილი არ ყოფილა აღრიცხვაზე რაიონულ საგადასახადო ინსპექციაში. ახლახან რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციამ შეამოწმა ეს ფაქტი და ინსტიტუტს 12 მილიარდი კუპონი გადაახდევინა.

„დამფუძნებელთა“ შორის არ განაწილებულა წმინდა მოგება და, მაშასადამე, მათ საწესდებო ფონდში არ შეუტანიათ წმინდა მოგებიდან მიღებული დამატებითი შესატანები 3 პროცენტის ოდენობით, როგორც ამას ინსტიტუტის წესდება ითვალისწინებს (სხვათა შორის, არც ერთ „დამფუძნებელს“ დღემდე ჰუმანიტარული ინსტიტუტიდან არც ერთი კაპიკი არა აქვს მიღებული!?).

შარშან ოქტომბერში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. შ. ნადირაშვილმა დამფუძნებელთა კრებისადმი თავისი განცხადებით, როგორც დამფუძნებელმა, მთელი პასუხისმგებლობა მოიხსნა, და ინსტიტუტის წესდების შესაბამისად, თავისი უფლებები და მოვალეობანი ინსტიტუტის რექტორს პროფ. ნ. კირვალიძეს გადასცა. მაშასადამე, ამ დღიდან მაინც, დამფუძნებელთა შორის ჰუმანიტარული ინსტიტუტიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ, იმის გამო, რომ შ. ნადირაშვილის განცხადება რეგისტრირებული არ არის არც ქალაქის მერიაში და არც რაიონის გამგეობაში, ქალაქის მერიამ მისი დამფუძნებლობიდან გასვლა ბათილად ჩათვალა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ერთპიროვნული მოქმედება ამ ორი თვის წინათ ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნასთან დაკავშირებით, უნდა გაუქმდეს.

ინსტიტუტს, არსებობის მთელს მანძილზე, მართავდა მისი უმაღლესი ორგანო — ინსტიტუტის საბჭო (მის 39 წევრს შორის ორი აკადემიკოსი, 22 პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი და 8 დოცენტია).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სახელმწიფოა იგი თუ კერძო, როგორც წესი, რექტორს ირჩევენ საბჭოები ფარული კენჭისყრით (ასეა ჩვენს წესდებაშიც), ზოგან კი — უმაღლესი სასწავლებლის საერთო კრებაზე. გაუგებარია, რატომ უნდა იყოს გამონაკლისი ჰუმანიტარული ინსტიტუტი, რატომ უნდა უგზავნიდნენ მას რექტორს გარედან? სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს არავითარ დემოკრატიულ ჩარჩოებში არ თავსდება. კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, ასეთი „გაგზავნები“ აღარ არსებობს. გავიხსენოთ, თუ რა რეზონანსი ჰქონდა 1991 წელს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ერთპიროვნულად დანიშვნის მცდელობას.

ამის მიუხედავად, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, უფრო სწორედ, მისი დირექტორი ი. ფუტკარაძე, არაფერს ეკითხება არც მეორე დამფუძნებელს ბატონ შ. ნადირაშვილს და არც ჩვენი ინსტიტუტის საბჭოს. არ მიიღო ჩვენი მრავალგზის თხოვნა საბჭოს მიერ რექტორის არჩევის თაობაზე და ხელშეკრულებისა და წესდების უხეშად დარღვევით, სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელთა კრების (?!) რეკომენდაციის საფუძველზე დანიშნა ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი. არადა, მისთვის არაერთგზის გაგვიცხადებია, რომ მხარს დავუჭერდით მის კანდიდატურას, თუ არჩევა ინსტიტუტის საბჭოს მიერ მოხდებოდა.

მოხდა სხვა უკანონობაც. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა არავისთვის რომ არ უკითხავს, ისე გააუქმა ეკონომიკის ფაკულტეტის პირველი კურსი, სტუდენტები კი იურიდიულ ფაკულტეტზე გადაიყვანა, გააუქმა... ინსტიტუტში არსებული კათედრები (უკათედროდ რომელი სასწავლო ინსტიტუტი შეიძლება არსებობდეს?).

ქალაქის მერიაში გავარკვიეთ, რომ თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტი, კანონის თანახმად, რეგისტრირებული უნდა იყოს ვაკის რაიონის გამგეობაში. აღმოჩნდა, რომ იგი ამ რაიონში არ არის რეგისტრირებული და ინსტიტუტის წესდების ყველა შესწორება არ გასცილებია ჩვენი ინსტიტუტის კედლებს. ამდენად, ძალაში რჩება ქალაქის მერიაში 1992 წელს 16 ივნისს რეგისტრირებული ინსტიტუტის წესდება. არადა, დამფუძნებელთ“ მომარჯვებული აქვთ... მეორე წესდება, რომელიც რეგისტრირებული არსად არ არის.

ყოველივე იმის გამო, რაც ვთქვით, ეჭვქვეშ ვაყენებთ სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მიერ თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის დამფუძნებლობას და უნდობლობას ვუცხადებთ მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. მით უფრო, რომ წინ გვიდევს ინსტიტუტის აკრედიტაცია, ურომლისოდაც კურსდამთავრებულთა დიპლომები არ გაიცემა. სასწავლებელში დღეს არსებული მდგომარეობა კი აფერხებს აკრედიტაციას და, საერთოდ, საფრთხეს უქმნის ინსტიტუტის შემდგომ არსებობას.

ერთიც, აბსურდულად მიგვაჩნია კერძო სასწავლებლების შექმნა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა“ სახით. ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული განათლების სისტემის რეფორმის დროს, თუ გვინდა, რომ ეს სასწავლებლები „ნუცას სკოლებად“ კი არ იქცნენ, არამედ, ისე იმოქმედონ, როგორც ეს ცივილიზებულ სამყაროშია მიღებული. სხვაგვარად, მხოლოდ „დიპლომების დროებით გამცემ პუნქტებად“ ვიქცევით, თქვენ რას იტყვით, კოლეგებო?!

ბოლოს და ბოლოს, უნდა გაირკვეს მტყუანი და მართალი, ჩვენი დავის მედიატორებად ვუხმობთ ყველას: განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს, პროკურატურას, არბიტრაჟს, იუსტიციის სამინისტროს, პარლამენტის შესაბამის კომისიას, კონტროლის პალატას!..

თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის საბჭოს წევრები: ზურაბ მეტრეველი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე; ბიჭი ბოჭაძე — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკის თეორიულ დისციპლინათა კათედრის გამგე; ვლადიმერ ჭანტურაძე — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დიმიტრი ქორიძე — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; თენგიზ ჭიაბრიშვილი — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, წარმოების ეკონომიკის კათედრის გამგე.

რედაქციისაგან: ავტორთა მიერ წამოჭრილი საკითხი აქტუალურია. შესაბამისმა ზემდგომმა ორგანოებმა მართლაც დროულად უნდა გაარკვიონ, ვის მხარეზეა სიმართლე და წერტილი დაუსვან ამ გაჭიანურებულ დავას.

ინფორმაცია

თამარ გვერდწითელის წარმატება ამერიკაში

გაეროსთან საქართველოს რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ ნიუ-იორკიდან საქინფორმს აცნობა, რომ 16 აპრილს, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზში — „კარნეგი ჰოლში" გაიმართა თამარ გვერდწითელის კონცერტი.

ტრადიციის მიხედვით, უცხოელი არტისტების გამოსვლისას, მიღებულია სცენაზე სტუმართა ქვეყნის დროშის გამოფენა. ამდენად, „კარნეგი ჰოლის" ისტორიაში პირველად, მის სცენაზე საქართველოს დროშა აფრიალდა.

ქართველი მომღერალი თბილად მიიღეს: დარბაზში პრაქტიკულად არცერთი ადგილი არ დარჩა თავისუფალი. მაყურებელი ხანგრძლივი ტაშით უხდიდა მას მადლობას ქართული, რუსული, ფრანგული, ესპანური, ებრაული, ინგლისური სიმღერების შესრულებისათვის.

თამარ გვერდწითელის საკონცერტო ტურნე გრძელდება.

დაფუძნდა საქართველოს კომპარტიის აჭარის ორგანიზაცია

როგორც საქინფორმი იუწყება, 18 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ და სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ივანე წიკლაურმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ.

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის პლენუმი, რომელმაც საქართველოს კომპარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის პირველ მდივნად აირჩია აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე სულიკო ხაბაძე.

გამომძალველები ამხილეს

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ამხილეს თბილისის დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციის ფიზიკურ პირთა დაბეგვრის განყოფილების უფროსი და ხუთი ინსპექტორი, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თანამდებობრივ მდგომარეობას, ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე სძალავდნენ კერძო მოვაჭრე პირებს თანხებს და ერთმანეთში ინაწილებდნენ.

მათ ჩამოერთვათ 358000 რუსული რუბლი და 85 ამერიკული დოლარი.

მოკვლეული მასალები გადაეცა რესპუბლიკის პროკურატურას. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

კურსები არ შეცვლილა

19 აპრილის ჩათვლით ყველა უცხოური ვალუტის კურსი კუპონის მიმართ იმავე დონეზე დარჩა, როგორიც დაწესებული ჰქონდა საქართველოს ეროვნულ ბანკს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გასულ პარასკევს გამართული საჯარო ვაჭრობის შედეგების მიხედვით. 17 აპრილს ამ ბირჟაზე გამართულ მორიგ ვაჭრობაზე როგორც ამერიკული დოლარის, ისე რუსული რუბლის კურსებს არ განუცდიათ არავითარი ცვლილება. მათ შესაბამისად შეადგინეს 1.300 ათასი კუპონი და 225 კუპონი. ვაჭრობაზე გაიყიდა 267.850 დოლარი. რაც შეეხება რუბლს, მასზე მოთხოვნა არ ყოფილა.

აკაკი ხორავა-100

ერის სიმაღლე



ქართული თეატრის სიამაყეს, სცენის დიდოსტატს აკაკი ხორავას 29 აპრილს დაბადებიდან 100 წლისთავი უსრულდება. სწორედ ამ საიუბილეო თარიღმა განაპირობა დაფუძნებულიყო შარშან, 29 აპრილს, აკაკი ხორავას საზოგადოება, რომლის ამოცანებზეც გვესაუბრა საზოგადოების თავმჯდომარე მსახიობი და მწერალი ზაზა ბაჯელაშვილი.

აკაკი ხორავას დაბადებიდან 100 წლისთავი ფართო მასშტაბით უნდა აღინიშნოს. აუცილებელია გაიხსნას მისი სახლ-მუზეუმი მშობლიურ სენაკში, ჩატარდეს საქველმოქმედო ღონისძიებები, მოეწყოს გამოფენა-გაყიდვები, ფესტივალები, აუქციონები, მხატვრული კითხვის კონკურსები, სპექტაკლებისა და კინო-ფილმების ჩვენება, კონფერენცია-სემინარები, სახელობითი სტიპენდიები დაინიშნოს თეატრალური ინსტიტუტის წარჩინებულ სტუდენტთათვის. რა თქმა უნდა, საზოგადოებამ უპირველესად იზრუნა აკაკი ხორავას ხსოვნის სალამოებზე — შარშან შემოდგომაზე უკვე გავმართეთ თბილისსა და რუსთავში, წელს ასეთივე სალამოები ჩატარდება თელავში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ზუგდიდსა და მის მშობლიურ ქალაქ სენაკში, რაც დაგვირგვინდება საიუბილეო ზეიმით რუსთაველის თეატრში.

29 აპრილს, დაბადების დღეს, მუხლს მოვიდრეკთ მის საფლავთან, მთაწმინდის პანთეონში, ხოლო მისივე სახელობის მსახიობთა სახლში გაიმართება მოსაგონარი სალამო. ამასთანავე ვმეცადინეობთ, რომ გამოვიდეს საიუბილეო ალბომი და წიგნი — აკაკი ხორავას თანამედროვეთა მოგონებების კრებული, რომლის შემდგენელიც გახლავთ პროფესორი ეთერ გუგუშვილი. ეს წიგნი ამჟამად დევს გამომცემლობა „ხელოვნებაში", მაგრამ უსახსრობის გამო ვერ გამოგვიცია. ვის არ მივაკითხეთ, ვინ არ შევაწუხეთ, ამ ორი წლის განმავლობაში...

აკაკი ხორავას საზოგადოებამ არსებობა დაიწყო კეთილი ადამიანების შემწეობით. ნებისმიერი პიროვნების დაპირებას ფასი აქვს მაშინ, თუ ამ სიტყვას საქმეც მოჰყვება. ამას ჩვენი პარლამენტარის ბატონ მურმან ომანიძის მისამართით ვამბობ, რომელიც თავისი ქველმოქმედებით მუდამ მხარს უჭერს გაჭირვებულ ადამიანებს და ყოველ საქმეს, რომელიც ერს სულიერი და ფიზიკური გაძლიერებისათვის სჭირდება. მისი დავალებით ფირმა „ინტერკონტაქტის" პრეზიდენტმა ალექსანდრე ნოზაძემ, ყველაფერი იღონა, რათა ეს სალამო მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. რუსთავის დრამატული თეატრის დარბაზი ხალხით გავსებული დაგვხვდა. ყველანი დიდი სიამოვნებით უსმენდნენ თეატრალური ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს და დიდი მადლიერებაც გამოთქვეს ესოდენ გულთბილი, დაუვიწყარი სალამო რომ ვაჩუქეთ. რა თქმა უნდა, ეს მადლობა, პირველ ყოვლისა, ეკუთვნის ბატონ მურმან ომანიძეს და ფირმა „ინტერკონტაქტს". აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აკაკი ხორავას საზოგადოების სახელით მადლობა მოვახსენო ფირმა „ერლანის" პრეზიდენტს ზურაბ აბესაძეს, სააქციო კომერციული ბანკის „საქართველოს ბანკის", „საქინდუსტრიაბანკისა" და თამბაქოს ფაბრიკა „ქართლის" ხელმძღვანელებს...

მიუხედავად იმ დიდი გაჭირვებისა, რომელიც ყველას თავს დაგვატყდა, ქართველი ხალხი მაინც შეძლებს თავის ღირსეულ შვილებს დიდი პატივი მიაგოს, და თუ ღმერთი გაუწყრა და „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა" დაივიწყა, — როგორც ილია ამბობს, — მაშინ „დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად გადაუდვია თავი... დავიწყება ამათი — საკუთარი ვინაობის დავიწყებაა და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი...".

ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი გადაგვარებისაგან! აკაკი ხორავას სახელისათვის სანთლის დანთება, ყველა წინაპრისათვის სანთლის დანთებაა...

მარად ჩაუქრობლად გვენთოს ასეთი სანთლები!..

წერილი რედაქციას

დახმარება გაჭირვებულებს

9 აპრილს დაღუპულ ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის რესპუბლიკური მნიშვნელობის ცენტრმა თხოვნით მიმართა ახმეტის რაიონის ხელმძღვანელობას, დახმარებოდნენ თბილისში მცხოვრებ ეკონომიურად ხელმოკლე და ინვალიდ სპორტსმენებს, აგრეთვე, აფხაზეთიდან ლტოლვილებს.

ჩვენი თხოვნის საფუძველზე ახმეტელებმა, განსაკუთრებით, მოსწავლე ახალგაზრდობამ, შეაგროვა და თბილისში ჩამოიტანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რაც ასამდე ოჯახს დაურიგდა.

ნება მოგვეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ახმეტის რაიონის თავკაცებსა და მშრომელებს, რომლებმაც გულისხმიერება გამოიჩინეს — დახმარების ხელი გაუწოდეს გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს.

იმედია, ახმეტელთა ამ კარგ თაოსნობას სხვა რაიონებიც მიბაძავენ.

გიგა ცომაია,
ნ. ჯანგირაშვილის სახელობის რესპუბლიკური მნიშვნელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის პრეზიდენტი.

ტალანტები და თაყვანისმცემლები

ტაში აჩუქეს მაიას...

მერე რა რომ, ახალგაზრდა მომღერალმა მაია კასრაძემ ბათუმის საოპერო თეატრის სცენაზე აიდას პარტია მეორე თუ მესამე სპექტაკლში იმღერა, ტაში და ყვავილები არც მას დაჰკლებია. საერთო აღიარებით მაიამ ახალი ფერები შემატა ამ ურთულეს სახეს.

„კარგი იყო მაია — ამბობს მისი პედაგოგი, სახელგანთქმული მომღერალი **ცისანა ტატიშვილი** — ბათუმელებმა, საერთოდ, გულთბილად მიიღეს იგი, მოეწონათ მისი ეთერი — „აბესალომ და ეთერში" და, განსაკუთრებით, ლელა — რევაზ ლაღიძის „ლელაში".

მაია კონსერვატორიაში (მე მისი პედაგოგი ვიყავი), მონდომებული, მიზანდასახული სტუდენტი იყო, არც ნიჭი აკლდა, და, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩარიცხეს კიდეც თბილისის საოპერო თეატრის დასში. აქ იგი ძალზე იმედისმომცემ მომღერლად მოგვევლინა, რაც, უკვე მოგვიანებით, სრულიად დაამტკიცა ბათუმში დადგმულ საოპერო სპექტაკლებში.

აღტაცებულია მაია კასრაძის მონაცემებით ცნობილი მომღერალი, ამჟამად აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი **რობერტ ბარძიმაშვილი**: „მაიას ულამაზესი ლირიკულ-დრამატული სოპრანო აქვს, ფლობს კარგ ტექნიკას, ძალზე ინდივიდუალურია... რაც მან ბათუმში სამ სპექტაკლში გააკეთა, ჭეშმარიტად მაღალი დონეა"...

მაია კასრაძე მრავალი საერთაშორისო თუ რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატია, როგორც იტყვიან, ყველაფერი წინა აქვს და ჩვენც ახალ-ახალ შემოქმედებით მიღწევებს ველით მისგან.

ივერი ნიჭაბაძე.

რინგი

პროფესიონალთა წესებით...

დედაქალაქის ცირკმა, 15 აპრილს, ფირმა „კოკა-კოლა კავკასიონის" (პრეზიდენტი თემურ ჭყონია) სპონსორობით გამართულ კიკბოქსინგელთა კიდევ ერთ საინტერესო ასპარეზობას უმასპინძლა. მარტში ჩატარებული შესარჩევი შეხვედრების შედეგად გამოვლენილმა სამმა წყვილმა ფინალური ორთაბრძოლები პროფესიონალთა წესებით (ორ-ორწუთიანი 6 რაუნდი) მოაწყო.

კარგად გამოვიდნენ საბრძოლო ხელოვნების ცნობილი კლუბის „ჯიქი-90" (მწვრთნელი გ. ჯავახია) წევრები, რომლებმაც ორი უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს: **იმედო ყაველაშვილმა** (67 კგ.) მესამე რაუნდში აშკარა უპირატესობით სძლია თ. ჯიშკარიანს, ხოლო აბსოლუტურ წონით კატეგორიაში **თემურ კაშიამ** მეოთხე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ე. არშაკიანი.

ამავე კლუბის 18 წლის წარმომადგენელმა ნ. კარტოზიამ ტურნირის მთავარი მსაჯის შ. ბითაძის აღსაზრდელ **თ. ხევოიანთან** 55 კგ. წონით კატეგორიაში რეფერის საეჭვო გადაწყვეტილებით დათმო პაექრობა, არადა მან მეტოქე ძლიერი დარტყმით ნოკდაუნში გაგზავნა და, რომ არა იმავდროულად გამორთული ელექტროენერგია და დარბაზში ატეხილი ხმაური, არბიტრი ალბათ ასეთ გაუგებარ პრინციპულობას არ გამოიჩენდა.

ასპარეზობაში რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონების სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ჩემპიონებს სოლიდური ფულადი პრიზები გადაეცათ.

ახლახან საქართველოში შეიქმნა ტაიბოქსინგისა და კიკბოქსინგის რესპუბლიკური ფედერაცია (პრეზიდენტი გოჩა ჯავახია).

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის ტაილანდური კრივის ნაკრები 16-დან 18 წლამდე ასაკის 8 სპორტსმენის შემადგენლობით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ღია ჩემპიონატზე ოდესას გაემგზავრა...

პოლიციელი - ხილული და უხილავი

ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე რომ ვყოფილიყავით...

საბჭოთა ეპოქის თაობები ძირითადად ურწმუნოები ვართ. რელიგიის ანბანი არ გვისწავლია და თუ გვისწავლია, ისიც ათეიზმის პოზიციიდან. ძალზე ცოტა რამე ვიცით, უფრო სწორად არაფერი არ ვიცით ღმერთზე, ადამიანის სულიერებაზე, სატანის შესაძლებლობაზე. „არცოდნა არცოდვააო"— ვიმშვიდებთ თავს. თუმცა ეს უცოდველი არცოდნა ხშირად გაგვხდომია სანანებლად. შინაგან საქმეთა სამინისტროში გვითხრეს, კატასტროფულად იმატა ისეთი ტიპის დანაშაულობათა რიცხვმა, რომელთა მოტივაცია ჩვეულებრივი, მატერიალისტური ლოგიკისათვის შეუძლებელიაო.

ჯერ კიდევ როდის, ნოდარ დუმბაძის მოთხრობის გმირი მილიციელი კუკარაჩა ამბობდა, მილიციელის ხასიათში დამსჯელის ბუნება გულთამხილავი მოძღვრის შორსმჭვრეტელობამ თუ არ გადაწონა, სატანის ნებით აბობოქრებულ სამყაროსთან ბრძოლა კიდევ უფრო გაგვიჭირდებაო.

საინტერესოა, რა აზრისა არიან ამაზე დღევანდელი პოლიციის რეალური კუკარაჩები.

— მართლმორწმუნე ქრისტიანი ბრძანდებით?

ჯემალ გახოკიძე — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი: ქრისტიანობის გზაზე კი ვდგავარ, მაგრამ თავს რომ მართლმორწმუნე ქრისტიანი ვუწოდო ადრეა. ისე, მონათლულიც ვარ და ჯვარდაწერილიც.

ნოდარ მოსიაშვილი — შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო წარმოების უფროსი, პოლკოვნიკი: ვარ და თანაც. ისე, რომ ამ რწმენის გამო ბევრჯერ უმტკივნეულო ტყუილის თქმისაც კი შემშინებია.

ალეკო მიქაბერიძე — რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი: ვლოცულობ, სანთელს ვანთებ. აღსარება და ზიარება? არა, ამისი აუცილებლობის აღიარებას ცოტა მეტი ცოდნა სჭირდება. ქართველებს კი, მოგეხსენებათ, ხშირად ზერელობა გვახასიათებს. ამგვარი ხასიათის ჩამოყალიბებაში ეროვნულმა სიმცირემ თუ ისტორიულმა ბედუკუღმართობამაც დიდად შეგვიწყო ხელი. გამუდმებით დამპყრობთშუა ლავირებამ, ერთი ბანაკიდან მეორეში იძულებითმა გადაადგილებამ, სამარქაფო გზის მუდმივმა ძიებამ, მერყევი და გაორებული ხასიათი ჩამოგვიყალიბა. ამან კი, რა თქმა უნდა, ჩვენს რწმენაზეც იქონია გავლენა: ღმერთთანაც „თამაში" დავიწყეთ. თორემ ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე რომ ვყოფილიყავით, ღმერთიც ბევრ გასაჭირს აგვაცილებდა.

— საიდან მოდის, რას ემყარება თქვენი რწმენა?

ჯ. გ. — სიკეთეს. მიხარია, რომ იმ სარწმუნოების მიმდევარი ვარ, რომელსაც მოციქულები კი არა, თავად ძე ღვთისა ქადაგებდა.

ნ. მ. — ბებია მყავდა მორწმუნე, ულოცველად არასოდეს დამაძინებდა. მასაც სწამდა და მეც ისეთი რწმენა ჩამინერგა, რომელსაც დღემდე თუ ემატება, თორემ არაფერი დაჰკლებია.

ა. მ. — ჩემი სულიერი სამყაროდან! ქრისტიანობის, ამ სიკეთის და სიყვარულის რელიგიის აღმსარებლობა თბილსა და ლამაზს ხდის ადამიანს. კი, მუსლიმანი წეს-ჩვეულებათა ბეჯითი შესრულებით გვჯობია, მაგრამ რაც შეეხება ჭეშმარიტ სიყვარულს და თავდადებას, მე მგონი, ქრისტიანს ბადალი არ ჰყავს. ამის მაგალითად ქრისტესათვის წამებულ წმინდანთა არმიაც კმარა, თუნდაც მარტო საქართველოდან.

— თქვენი აზრით, რომელია ყველაზე დიდი ქრისტიანული დღესასწაული?

ჯ. გ. — აღდგომა.

ნ. მ. — ქრისტეშობა.

ა. მ. — ქრისტეშობა.

— ზებუნებრივი, ქვეცნობიერი... როგორ გესმით მათი მნიშვნელობა, რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან და ადამიანის მიწიერ ყოფასთან?

ჯ. გ. — სამყაროს შესახებ მატერიალისტური მოძღვრების უსუსურობას სკოლაშივე ვგრძნობდი: იდეალიზმისადმი მასწავლებლების უარყოფითი დამოკიდებულება სკოლაშივე გახდა იდეალისტური აზროვნებით ჩემი დაინტერესების მიზეზი. მჯერა, სამყარო ღმერთმა რომ შექმნა და ბიბლიაში მისი კოდი ძევს. მხოლოდ კოდი. ყველას რომ ყველაფრის ცოდნა მართლაც არ სჭირდები, ამას ატომური ბომბის არსებობაც ადასტურებს.

ისევ ჩამესმა „გმადლობ, შვილო, ყველაფრისათვის დიდი მადლობა!" და დავინახე როგორ „ავიდა" მამაჩემი ზევით, ზევით და ჭერში გაუჩინარდა...

— გწამთ ბედისწერა?

ნ. მ. — ძალიან.

ა. მ. — იმდენ ხიფათს ვარ სასწაულებრივად გადარჩენილი, არ ვიწამო, რომ „ჩვენი ბედი ცაზე სწერია", არ იქნება.

ჯ. გ. — მწამს. ჩემი ოჯახური ტრაგედიაც ხომ ბედისწერაა. ერთი ყმაწვილი ვიცი, ტყვია მკერდში მოხვდა, მაგრამ იმ დროს გული შეიკუმშა და... სიკვდილმა გვერდით ჩაუარა. ჩემი შვილი კი... იცით ჯერ კიდევ ათი წლის წინათ მე და თამაზ სულავამ ალავერდის ტაძარში დავიწყეთ სიარული. ოჯახებით მივდიოდით დღესასწაულებზე სალოცავად. მერე, რატომღაც, შევწყვიტე... ტრაგედიაც ორი წლის წინათ მოხდა. ახლა სულ ვფიქრობ, იქნებ ღმერთი ჩვენი მაშინდელი ლოცვის ძალით კალთას გვაფარებდა, მე კი ამ მფარველობას გავექეცი

ა. მ. — ზებუნებრივი პრეროგატივაა ღმერთისა, ქვეცნობიერი კი — ზებუნებრივის ადამიანისეული აღქმა.

ნ. მ. — მჯერა სულის მარადიულობისა. 1996 წლიდან რომ ლაზარეს აღდგინებასთან დაკავშირებით სულებიც მობრუნდებიან, ისიც მჯერა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ უკვე აქ არიან და ჩვენს საუბარსაც ისმენენ.

— ხილულივით გჯერათ უხილავი სამყაროსი? რა კავშირია, თქვენი აზრით, ხილულსა და უხილავს შორის?

ჯ. გ. — ღმერთის აღიარება თავისთავად უხილავი სამყაროს რწმენაა. უხილავი და ხილული — ერთი მთლიანობაა, ოღონდ ხილული (მიწიერი) მცირე ნაწილია იმ უხილავი ერთიანობისა, რასაც ჰქვია „ცხოვრება და სიხარული დაუსრულებელი" და რომელსაც, სამწუხაროდ, ხორციელი თვალით ვერ ვხედავთ.

ნ. მ. — ჯერ იმის გარკვევაა საჭირო, ხილულს რომ ვეძახით, ის სამყაროა სარწმუნო და რეალური, თუ ის, თვალით რომ არ ჩანს. კავშირი კი, ალბათ, ისე მჭიდროა, როგორც სულსა და ხორცს შორის.

ა. მ. — ადამიანი, რომ სულის ჭურჭელია, უხილავი, მაგრამ რეალურად არსებული სულისა, ამაში დასარწმუნებლად ჩემთვის შარშანდელი შემთხვევაც კმარა: მამა გარდამეცვალა, სასაფლაოდან მობრუნებულს იმ ოთახში მომინდა დაძინება, სადაც მიცვალებული ესვენა. ღამით ძახილმა გამაღვიძა: „ალეკო! ალეკო! ალეკო!" ოთახები შემოვიარე, ყველას ეძინა, გარეთაც არავინ იყო. დავწექი და და... არა, ღმერთს არ დავუსჯივარ. კაცმა რომ თვალებზე ხელი აიფაროს და ხრამში გადავარდეს, განა საყვედური მზეს ეკუთვნის?

— ნათელხილვა, ტელეპატია... გჯერათ მისი არსებობა?

ა. მ. — ნათელხილვა, ალბათ, უხილავის გონებით ხილვაა, ტელეპატია კი ხილულის, არსებულის დისტანციაზე გადაცემა-მიღება. რთული პროცესია, მაგრამ შესაძლებელი. კარგი ადამიანი შეიძლება ისე წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ არც გამოავლინოს ეს უნარი, ბოროტის ხელში კი ის მეტად საშიში იარაღია.

ნ. მ. — ...ვზივარ ოთახში და რატომღაც დიდი ხნის უნახავ მეგობარზე ვფიქრობ. „ვხედავ" როგორ ამოდის კიბეზე... უცებ იღება კარი და მეგობარი მართლა არ შემოდის?! ასეთი და სხვა მსგავსი შემთხვევები ხშირად მქონია. რა ვიცი, იქნებ ეს არის ტელეპატია?!

ჯ. გ. — იმდენი რამ მაქვს წაკითხული ამ თემაზე და მაინც მუდამ მხრებს ვიჩეჩავ... ერთხელ ვანგამ უთხრა ჩემს მეუღლეს, თქვენს შვილს არაფერი უჭირს, მარტო თქვენზე დარდობს, ხშირადაა „შინ" — საძინებელსა და თავის ოთახშიო. რა თქმა უნდა, არ დავიჯერე. აღდგომის ღამეს კი, ეკლესიაში წასასვლელად რომ ვემზადებოდით, ოთახში მყოფთ — ხუთივე კაცს ხმა მოგვესმა: შემოსასვლელში ვიღაც დადიოდა... მე ვიცანი შვილის ნაბიჯები...

— რა ძალების დახმარებით ხდება ადამიანის გონების გახსნა უხილავის დასანახად, სხვისი განცდების მისახვედრად?

ნ. მ. — უფლის ნებით. უხილავის დასანახად სხვა ძალა არ არსებობს.

ა. მ. — რამე საქმეს რომ ვიწყებ, თავს ვეკითხები, როგორ გააკეთებდა ამას, ვთქვათ, ვახტანგ მეფე, დავით აღმაშენებელი, (სავახტანგ-სადავითოს რას ვაკეთებ, მაგრამ მაინც) და მე „ვხედავ" მათ, არა როგორც ჩემს გონებაში ჩაბეჭდილ მათ ხატსა და სურათს, არამედ როგორც ცოცხალს, დინამიკაში. ალბათ, ესაა ნათელხილვა, გამოწვეული ჩემივე ძალისხმევით, ადამიანი ხომ ღვთის ხატი და მსგავსია, ამდენად — ძლიერიც.

ან კიდევ ხდება: რაღაცას ვაკეთებ: ყველას უკვირს, მეკამათება, რატომ ასე და არა ისეო. მე კი შინაგანი ხმა ჩამძახის, რომ სწორედ ასეა საჭირო. წინააღმდეგობას კი, როგორც განსაცდელს, გაძლება უნდა. მეც ვუჯერებ „მას" და... მოგებული ვრჩები.

— არსებობს თუ არა მაგია: თეთრი, შავი, რუხი...

ნ. მ. — მე მაგიას არ დავარქმევდი, კეთილი და ბოროტი უფრო სწორია. ყველა კეთილი ადამიანი თეთრი მაგიაა, ბოროტი — შავი.

ჯ. გ. — ამაზე სერიოზულად არ მიფიქრია. თუმცა არც მისი არსებობის უარყოფა იქნება სწორი: თუ ღმერთი სიკეთეს და სიყვარულს ჩაგვაგონებს, მისი ანტიპოდი — სატანა თავისთავად საწინააღმდეგო აზრთა წყარო იქნება. ხოლო სატანური აზროვნებით შეპყრობილი და მისი მსახური — ბოროტების გამავრცელებელი.

ა. მ. — კეთილის, ანუ თეთრი მაგიის მფარველობა, რომ დაიმსახურო, სუფთა გულით უნდა ემსახურო ღმერთს — შეასრულო მისი მცნებები, თორემ ის დალოცვილი მოუსყიდავი მსაჯული, ორპირობას არ გაპატიებს. თუ დაკარგე მისი ხილულად მფარველობის რწმენა, ჩათვალე, რომ უხილავი ბოროტის, ანუ შავი მაგიის წინ შიშველი და უიარაღო დგახარ.

— ამბობენ, დღეს ეს უხილავი ბოროტი ხილულად ბობოქრობს ქვეყნებსა და ადამიანებშიო. რა ვქნათ, როგორ დავიხსნათ თავი?

ნ. მ. — კეთილ საქმეთა სიმრავლით! ლოცვით. თავის თავთან აღსარებით. სულიერ მოძღვარს რა სჯობს, მაგრამ ხატის წინ რომ შენ ცოდვებს დაუფარავად აღიარებ, არც ესაა ნაკლები განწმენდა.

ა. მ. — ლოცვით, ანუ ღვთის ყურადღების გამოწვევით... ხოლო როცა იგრძნობ, რომ გისმენს, უნდა ელაპარაკო და უსმინო კიდეც, როგორც ხილულსა და არსებულს — მამას. მიიღო რჩევა, მითითება, ინფორმაცია. ეს უნარი ადამიანის თანდაყოლილი ნიჭია და თუ ცოდვების მორევში არ არის ჩაფლული, მეტ-ნაკლებად იყენებს კიდეც მას კონტაქტისთვის.

ჯ. გ. — ეს აბობოქრება, ჩემი აზრით, კანონის ხელყოფამაც დიდად განაპირობა. ადამიანებს ჰგონიათ, რომ კანონი მიწაზეა შექმნილი ციური შთაგონების გარეშე. ამიტომ თვითნებურად ცვლიან მას ან იმედი აქვთ, რომ რამენაირად დაუსხლტებიან. ეს რწმენა, უფრო სწორად ურწმუნობა, თვითონ დამნაშავისთვისაა დამღუპველი. მან რომ იცოდეს, რა გარდუვალია ზეციური მსჯავრი, ბოროტ აზრებს ასე იოლად ვერ შეასხამდა ხორცს. ვის ევალება ხალხში ამ ცოდნის შეტანა, თუ არა ეკლესიას. მაგრამ არანაკლებაა იურისტების მისიაც. თუ კანონმდებელი კანონიერად განსჯის, ე. ი. განსჯის არა მხოლოდ მიწიერი კანონის შესაბამისად. თუ კანონმდებელსა და კანონის აღმსრულებელში გაერთიანდება სულიერი მოძღვრის თვისებებიც, დარწმუნებული ვარ, რომ ბოროტმოქმედთა სამყარო თუ მთლად არ მოისპო, მნიშვნელოვნად მაინც შემცირდება.

— თქვენ თუ გყავთ სულიერი მოძღვარი?

ჯ. გ. — რა თქმა უნდა: მეუფე იობი და წმ. პანტელეიმონის ეკლესიის მოძღვარი მამა გიორგი, საოცარი ადამიანები არიან. მათთან ურთიერთობას ისეთ სიმაღლეზე აჰყავხარ ყოველდღიურად, გიკვირს, როგორ შეგეძლო სხვანაირი ყოფილიყავი გუშინ, გუშინწინ. გაკეთებული სიკეთე გეცოტავება. მოყვარეში კი არა, უკვე მტერშიც დადებითს ეძებ. ძალიან ვნანობ, რომ ასე გვიან შევხვდი მათ. ვისურვებდი ამნაირი სულიერი მამების მომრავლებას. ეს ერის გადარჩენის რეალური გზა მგონია.

— თქვენმა სულიერმა მოძღვარმა რომ გითხრათ, შენზე სულიწმინდის მადლია გადმოსული და იქადაგეო, რას იზამდით!

ჯ. გ. — ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, ჩემი ქადაგებით რწმენადაკარგული ხალხი სწორ გზაზე დამეყენებინა. მაგრამ ეს ბედნიერება რჩეულთ ხვედრია, ძლიერი პიროვნების, ღმერთთან რწმენით მისული სრულყოფილი კაცის ხვედრი. მე ჯერ ამისათვის მზად არა ვარ და, სამწუხაროდ, არც იმდენი ვიცი, ჩემმა სულიერმა მამებმა ეს მისია დამაკისრონ.

ნ. გ. — სხვისი მითითებით ძნელია, მაგრამ თვითონ თუ ვიგრძენი ეს მადლი, ვიქადაგებ.

მარინე მათიაშვილი.

ხსოვნა

გია გულუა

ვიცი, საკუთარ განცდებზე ამაღლება ადამიანის ყველაზე დიდი ღირსებაა, ისიც ვიცი, შენც რომ უნდა სძლიო და სხვა არ შეაწუხო, მაგრამ შენი მუხანათური მკვლელობის შემდეგ ველარ ვძლევ თავს. მოთქმის უფლება არა მაქვს, ვინაიდან თავად არ იყავი ხმაურიანი...

ამას წინათ ცხადად მომევლინე და შინაურულად შემიძახე — რატომ დუმხარ, რატომ არაფერს წერ ჩემისთანად გამეტებულ და დღემდე გაუხსნელ მკვლელობებზეო. აი, უკვე წელიწადი გავიდა და მართლაც სიტყვა ვერ დავწერე. დღესაც საოცრად მიჭირს მოგონებაში, ხსოვნაში მოგიხსენიო. არადა, ველარ ვიტევ კაეშანს.

რაც შენ დასრულდი, ეკლესიაშიც მიჭირს შესვლა. ხომ იცი, მე შენი მჯეროდა ყველაზე მეტად. სამშობლოს ბედით შეჭირვებულს, ერთხელაც არ წამოგცდენია უიმედობა. პირიქით, გამოუსწორებელი ოპტიმისტი იყავი და ცდილობდი ეს ჩვენც, შენს ახლობლებს, მეგობრებს, ყველას გადმოგვდებოდა.

ბევრჯერ გატკინეს გული, ბევრჯერ მოგიშორეს თავიდან, მაგრამ ვერ გაგტეხეს. შენისთანა ვაჟკაცს მტერი მუხანათურად თუ არა, პირისპირ რას მოგერეოდა. გჯეროდა, სიმართლისათვის მებრძოლი რომ იყავი, იმიტომ დაგადუმეს. ეშინოდათ, იცოდნენ: რომ დაგცლოდა, ბევრს შეუშლიდი ხელს უკეთურ საქმეში.

ომის დაწყებისთანავე აფხაზეთში წახვედი, შენი ყმაწვილობის აფხაზეთში. მე და ჩემი ერთი კოლეგა სოხუმის კომენდანტად შენი დანიშვნის კვირის თავზე გეწვიეთ საგაზეთო მასალებისათვის. ღამენათევი, ტანგაუხდელი სკამზე თვლემდი, მაგრამ დაღლას არ იმჩნევდი. შენ და შენი ბიჭები მართლა ომობდით. შენი მტრები კი არ ისვენებდნენ.

ერთი დრო არავის შერჩება, მაგრამ... დღეს სირცხვილი იმათ, ვინც ნამდვილად ყველაფერი იციან შენი და შენი მეგობრების (ზურას და ემზარის) მკვლელობის შესახებ და დუმან.

ყველა ჭეშმარიტი ქართველის ნაცვლად მე გიხდი ნაგვიანევ ბოდიშს შენი უმანკო სულის უყოყმანოდ შეწირვისათვის. ტყუილა ჰგონიათ შენს მკვლელებს, გენერალი გია გულუა მოკვდა. არა, შენ მეორდები: გიორგიში და სანდრიკაში, შენ ცოცხლობ დღესაც, მაგრამ უფრორე იცოცხლებ ისეთ საქართველოში, რომელზედაც ოცნებობდი, რომელსაც შეეწირე.

შენ მუდამ მოუნელებელი ტკივილი იქნები ჩემთვის და მთელი ჩვენი საახლობლოსათვის.

მონატრებით ნანა ლომაია.

რეზო კიკნაველიძე



უკვე ექვსი თვეა, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივს გამოაკლდა ფრიად განსწავლული და ამასთან უაღრესად თავმდაბალი პიროვნება, ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი რეზო ავთანდილის ძე კიკნაველიძე.

წავიდა და განუხორციელებელი დარჩა ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელოვანი მრავალი პროექტი. ერთ-ერთი მათგანია ჭარბი რაოდენობის მძიმე ლითონების გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. რეზო კიკნაველიძემ მეტად ორიგინალური მეთოდი შეიმუშავა დასმული ამოცანის გადასაწყვეტად, რომლის საშუალებითაც გამოვლინდა ორგანიზმზე მანგანუმის გავლენის ახალი, მანამდე მეცნიერებისთვის უცნობი ფაქტები, რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა მანგანუმის ჭარბი რაოდენობით გამოწვეული პათოლოგიური პროცესების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. დასანანია, რომ არ დასცალდა და ბოლომდე ვერ მიიყვანა ეს ჩანაფიქრი, გამოუქვეყნებელი დარჩა ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და გამოგონება.

განსაკუთრებული იყო რეზო კიკნაველიძის როლი სადიაგნოსტიკო საშუალებათა ბიოქიმიური და იმუნოლოგიური ნაკრებების წარმოების დანერგვაში. წლების განმავლობაში, მოსკოვში მუშაობისას, მან იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა სამეცნიერო წრეებში, რომ მისი მოსკოველი კოლეგები სიამოვნებით შეხვდნენ რეზოს ინიციატივას — შექმნილიყო რუსეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო.

არ დასცალდა, მაგრამ მისი იდეები და წამოწყებული საქმეები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათზე მუშაობა აუცილებლად გაგრძელდება. შენი კოლეგები, ჩვენო რეზო, გააგრძელებენ მუშაობას შენს მიერ წამოწყებულ პროექტებზე და ღირსეულად დააგვირგვინებენ მათ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები.

გრიგოლ პივოვაროვი



არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული რაღაც ლეგენდარულთან. ასეთთა რიგს განეკუთვნებოდა გრიგოლ ნათანის ძე პივოვაროვი, თბილისის საავიაციო ქარხნის ყოფილი მთავარი ინჟინერი, რომელსაც 11 აპრილს 91 წელი შეუსრულდა და, სამწუხაროდ, იგი მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა...

მთელი 34 წლის მანძილზე — 1944-1978 წლებში ასრულებდა ქარხნის მთავარი ინჟინრის მოვალეობას. ამ პერიოდში საავიაციო საწარმომ აითვისა არაერთი თანამედროვე თვითმფრინავის სერიოზული წარმოება, რაც მოხდა გ. პივოვაროვის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით.

გ. პივოვაროვი დაიბადა თბილისში 1904 წელს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა გერმანიაში სასწავლებლად, სადაც აითვისა ინჟინრის პროფესია, 1926 წელს კი გაემგზავრა პარიზს საავიაციო ქარხანა „პანრიოში" პრაქტიკის გასავლელად. 1927 წელს გ. პივოვაროვი მოხალისედ მიდის წითელ არმიაში, დემობილიზაციის შემდეგ მუშაობს მოსკოვში, მერე სარატოვში, 1944 წელს კი ბრუნდება თბილისში და იწყებს მუშაობას ჩვენს საწარმოში.

ევროპაში მიღებული მდიდარი თეორიული ცოდნა ბატონმა გრიგოლმა ბრწყინვალედ განახორციელა პრაქტიკაში, რაზეც მიუთითებს უამრავი მაღალი ჯილდო თუ სახელმწიფო პრემია.

ნამდვილი შემოქმედი ადამიანი იყო ბატონი გრიგოლი, რომელიც ჩვენს გვერდით იღვწოდა მრავალი წლის მანძილზე. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

თბილისის სახელმწიფო საავიაციო საწარმოო გაერთიანების დირექცია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს პარლამენტის წევრს თენგიზ კალანდაძეს სიდედრის

ნადეჟდა (ჟენია) შამსონის ასულ რატიანი-ბოხუას

გარდაცვალების გამო.

შვილები ნანული, ფოთოლა, სიძე თენგიზ კალანდაძე, შვილიშვილები მარინა, გია კალანდაძეები, სიძე ზურაბ ედიშერაშვილი, რძალი ლილი ფშავლიშვილი, შვილთაშვილი ტატო ედიშერაშვილი, ძმა კოსტა რატიანი, ძმისშვილები, მულისშვილები და მაზლისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადეჟდა (ჟენია) სამსონის ასული რატიანი-ბოხუა

პანაშვიდი 20, 21 IV 19 საათზე, დაკრძალვა 22 IV, 17 საათზე, აბაშის რაიონი, სოფელი მარანი.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა თანაუგრძნობს ამირან თავართქილაძეს მამის გარდაცვალების გამო.

გურამ და ვიკა დოლიძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი ზეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.
ინდექსი [illegible]